

უტწ

(განახლებული 2020)

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. მინიმუმ რამდენი წევრისაგან უნდა შედგებოდეს ბრიგადა? (მუხლი 2. პ 1)
 - ა. არანაკლებ ოთხი წევრის სამუშაოს მწარმოებლის ან მეთვალყურის ჩათვლით.
 - ბ. +არანაკლებ ორი წევრის სამუშაოს მწარმოებლის ან მეთვალყურის ჩათვლით.
 - ც. არანაკლებ ხუთი წევრის სამუშაოს მწარმოებლის ან მეთვალყურის ჩათვლით.
 - დ. არანაკლებ სამი წევრის სამუშაოს მწარმოებლის ან მეთვალყურის ჩათვლით.

2. განწეს-დაშვება არის დავალება სამუშაოს წარმოებაზე, გაფორმებული დადგენილი ფორმით სპეციალურ ბლანკზე, რომლითაც განსაზღვრული არ არის (მ.2პ.7) ა. სამუშაოს შინაარსი;
 - ბ. სამუშაოს ადგილი;
 - ც. სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო;
 - დ. + ელექტროდანადგარის მუშა რეჟიმის წარმართვა.

3. განწეს-დაშვება არის დავალება სამუშაოს წარმოებაზე, გაფორმებული დადგენილი ფორმით სპეციალურ ბლანკზე, რომლითაც განსაზღვრული არ არის (მ.2პ.7) ა. უსაფრთხოდ ჩატარების პირობები;
 - ბ. სამუშაოს შინაარსი და ადგილი;
 - ც. სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებაზე პასუხისმგებელ პირთა შემადგენლობა;
 - დ. + სამუშაოს ხელმძღვანელთა ტელეფონის ნომრები.

4. მოქმედი წესების თანახმად ელექტრული ველის გავლენის ზონად ითვლება: (მუხლი 2. პ. 25)
 - ა. +სივრცე, რომელშიც დამაბულობა აღემატება 5 კვ/მ-ს.
 - ბ. სივრცე, რომელშიც დამაბულობა აღემატება 10 კვ/მ-ს.
 - ც. სივრცე, რომელშიც დამაბულობა აღემატება 15 კვ/მ-ს.
 - დ. სივრცე, რომელშიც დამაბულობა აღემატება 20 კვ/მ-ს.

5. ქვემოთ ჩამოთვლილი ელექტრული აპარატებიდან რომელი არ განეკუთვნება საკომუტაციო აპარატებს? (მუხლი 2. პ. 46)
 - ა. ამომრთველი. მაცალკეებელი.
 - ბ. გამთიშველი, ავტომატი. დატვირთვის ამომრთველი.
 - ც. +რეაქტორი. ძაბვის ტრანსფორმატორი.
 - დ. პაკეტური ამომრთველი. მცველი.

6. რამდენი მეტრია დაცვის ზონა 1-20 კვ-მდე საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზისათვის ?
(მუხლი

2. პ. 28)

ა. + 10 მ

ბ. 15 მ

ც. 20 მ

დ. 25 მ

7. რამდენი მეტრია საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონა? (მუხლი 2. პ. 27) ა.
3 მ.

ბ. +1 მ.

ც. 5 მ.

დ. 6 მ.

8. ვინ განეკუთვნება სარემონტო პერსონალს? (მუხლი 2. პ. 44)

ა. +პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრული მოწყობილობების ტექნიკურ მომსახურებას და რემონტს, მონტაჟს გაწყობასა და გამოცდას.

ბ. სპეციალურად განსწავლული და მომზადებული ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, რომელიც ოპერატიულად ემსახურება მასზე სრული მოცულობით გაპროექტებულ დანადგარებს.

ც. ცვლაში სამორიგოდ მყოფი პირები, რომლებიც დაშვებულნი არიან ოპერატიულ მართვასა და ოპერატიულ გადართვებზე; დისპეტჩერები, ცვლის უფროსები, მორიგეები ბინაზე და მართვის ფარებზე, ოპერატიულ-გამსვლელი ბრიგადების წევრები.

9. ვინ განეკუთვნება ოპერატიულ-სარემონტო პერსონალს? (მუხლი 2. პ. 43)

ა. +სპეციალურად განსწავლული და მომზადებული სარემონტო პერსონალი, რომელიც ოპერატიულად ემსახურება მასზე სრული მოცულობით გაპროექტებულ დანადგარებს.

ბ. ინჟინრები, ტექნიკოსები, ოსტატები, მუშები, რომლებიც აწარმოებენ ელექტროსადგურებისა და ქვესადგურების ელექტროდანადგარების, სგხე-ბის, სკეხ-ბის, სარელეო დაცვის, ავტომატიკის, მზომი ხელსაწყოების, მეხდაცვისა და იზოლაციის, დისპეტჩერული და ტექნოლოგიური მართვის საშუალებების საექსპლუატაციო-სარემონტო მომსახურებას და გამართვას.

10. ვინ განეკუთვნება ადინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს? (ქართ. გვ. 9)

ა. +გაერთიანების, ფილიალების, მომსახურების ცენტრების, საამქროების, ლაბორატორიების, ელექტროქსელის რაიონებისა და უბნების განყოფილებებისა და სამსახურების ხელმძღვანელები, უფროსები, აღნიშნული პირების მოადგილეები, აგრეთვე ინჟინრები, ოსტატები, რომლებსაც ეკისრებათ ადინისტრაციული ფუნქციები.

ბ. სპეციალურად განსწავლული და მომზადებული ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, რომელიც ოპერატიულად ემსახურება მასზე სრული მოცულობით გაპროექტებულ დანადგარებს.

ც. ინჟინრები, ტექნიკოსები, ოსტატები, მუშები, რომლებიც აწარმოებენ ელექტროსადგურებისა და ქვესადგურების ელექტროდანადგარების, სგხე-ბის, სკეხ-ბის, სარელეო დაცვის, ავტომატიკის,

მზომი ხელსაწყოების, მეხდაცვისა და იზოლაციის, დისპეტჩერული და ტექნოლოგიური მართვის საშუალებების საექსპლუატაციო-სარემონტო მომსახურებას და გამართვას.

11. ვინ განეკუთვნება ოპერატიულ პერსონალს? (მუხლი 2. პ. 42)

ა. + პერსონალი, რომელიც ახორციელებს ელექტროდანადგარების ოპერატიულ მართვას და მომსახურებას (დათვალიერება, ოპერატიული გადართვები, სამუშაო ადგილის მომზადება, სამუშაოზე დაშვება და მეთვალყურეობა, სამუშაოების შესრულება მიმდინარე ექსპლუატაციის შესაბამისად).

ბ. ინჟინრები, ტექნიკოსები, ოსტატები, მუშები, რომლებიც აწარმოებენ ელექტროსადგურებისა და ქვესადგურების ელექტროდანადგარების, სგხე-ბის, სკეხ-ბის, სარელო დაცვის, ავტომატიკის, მზომი ხელსაწყოების, საექსპლუატაციო-სარემონტო მომსახურებას და გამართვას.

ც. პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრული მოწყობილობების ტექნიკურ მომსახურებას და რემონტს, მონტაჟს გაწობასა და გამოცდას.

12. რომელი სამუშაოები ითვლება ძაბვის ქვეშ შესასრულებელ სამუშაოებად? (მუხლი 2. პ. 36)

ა. +სამუშაოები, რომლებიც სრულდება ძაბვის ქვეშ მყოფ დენგამტარი ნაწილებიდან დასაშვებზე ახლო მანძილზე.

ბ. სამუშაოები, რომლებიც სრულდება ძაბვის ქვეშ მყოფ დენგამტარ ნაწილებზე შეხების გარეშე ან დენგამტარი ნაწილებიდან დასაშვებზე შორ მანძილზე. ც. სამუშაოები გამორთულ დენგამტარ ნაწილებზე.

13. რომელი სამუშაოები ითვლება მაღლივ სამუშაოებად? (მუხლი 2. პ. 30)

ა. 3 მ და მეტი.

ბ. 2 მ და მეტი.

ც. +5 მ და მეტი.

დ. 7 მ და მეტი.

14. განკარგულება არის დავალება სამუშაოთა წარმოებაზე, რომლითაც განსაზღვრულია... (მუხლი

2. პ. 6)

ა. + სამუშაოს შინაარსი, ადგილი, დრო, უსაფრთხოების ღონისძიებები (თუ საჭიროა) და პირები, რომლებსაც ევალებათ მათი შესრულება.

ბ. სამუშაოს შემსრულებელ პირთა საკონტაქტო ნომრები.

ც. ელექტროდანადგარის მუშა რეჟიმის წარმართვა.

დ. მიმდინარე ექსპლუატაციის პირობებში სამუშაოების წარმოება.

15. მიუთითეთ რომელი პასუხი განსაზღვრავს ტერმინს „დენგამტარი ნაწილი“ (მუხლი 2. პ. 13).

ა. +ელექტროდანადგარის ნაწილი, რომელიც ნორმალურ პირობებში იმყოფება ძაბვის ქვეშ.

ბ. ელექტროდანადგარის ნაწილი, რომელიც ნორმალურ პირობებში არ არის ძაბვის ქვეშ.

ც. ელექტროდანადგარის ნაწილი, რომელიც ავარიული რეჟიმის შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდეს ძაბვის ქვეშ.

დ. კომპლექტური გამანაწილებელი მოწყობილობის კორპუსი.

16. ჩამონათვალიდან მიუთითეთ პუნქტები, რომლებიც განსაზღვრავენ ტერმინს

„ელექტროდანადგარი“ (მუხლი 2. პ.17)

ა. +ენერგოდანადგარის სახეობა, რომლის დანიშნულება შეიძლება იყოს ელექტროენერჯის წარმოება, გარდაქმნა, გადაცემა, განაწილება ან მოხმარება

ბ. ელექტროდანადგარის ნაწილი, რომელიც ნორმალურ პირობებში არ არის ძაბვის ქვეშ.

ც. ელექტროდანადგარის ნაწილი, რომელიც ავარიული რეჟიმის შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდეს ძაბვის ქვეშ.

დ. კომპლექტური გამანაწილებელი მოწყობილობის კორპუსი.

17. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი არ არის გადაუდებელი სამუშაო? (მუხლი 2. პ. 49)

ა. +მოცულობით მცირე სარემონტო და ტექნიკური მომსახურების სამუშაოები;

ბ. სამუშაო, რომელიც სრულდება ადამიანებზე ტრავმის გამომწვევი ან ჯანმრთელობისათვის საშიში ფაქტორების ზემოქმედებისაგან აღსაკვეთად;

ც. სამუშაო, ისეთი უწყისივრობების და დაზიანებების ასაცილებლად, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ მოწყობილობების ნორმალური მუშაობის დარღვევა.

დ. სამუშაო, ისეთი უწყისივრობების ასაცილებლად, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ელექტრომომხმარებლის ნორმალური მუშაობის დარღვევა.

18. რომელი ელექტროდანადგარი ითვლება მოქმედ ელექტროდანადგარად? (მუხლი 2. პ. 20).

ა. +ელექტროდანადგარი ან მისი უბანი, რომელიც იმყოფება ძაბვის ქვეშ ან რომელსაც საკომუტაციო აპარატის ჩართვით შეიძლება მიეწოდოს ძაბვა.

ბ. ელექტროდანადგარი ან მისი უბანი, რომელიც არ იმყოფება ძაბვის ქვეშ.

ც. კომპლექტური გამანაწილებელი მოწყობილობის კორპუსი.

თავი II

ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები

მუხლი 4. მოთხოვნები პერსონალის მიმართ

19. მიუთითეთ სამუშაოები, რომლებიც არ არის სპეციალური სამუშაოები. (მუხლი 4. პ. 5.)

ა. სამუშაოები ძაბვის ქვეშ დენგამტარ ნაწილებზე.

ბ. მაღლივი სამუშაოები.

ც. მოწყობილობის გამოცდა ამაღლებული ძაბვით (გარდა მეგაომეტრით სამუშაოებისა).

დ. +35 კვ და მეტი ძაბვის გამანაწილებელი მოწყობილობებისა და ტრანსფორმატორების რემონტი.

20. მიუთითეთ სამუშაო, რომელიც განეკუთვნება სპეციალურ სამუშაოებს. (მუხლი 4. პ. 5.)

ა. +სამუშაოები ძაბვის ქვეშ დენგამტარ ნაწილებზე.

- ბ. სატრანსფორმატორო პუნქტების დამიწების კონტურის წინააღმდეგობის სიდიდის გაზომვა.
- ც. ძალოვანი ტრანსფორმატორის იზოლაციის კონტროლის გაზომვა.
- დ. 35 კვ და მეტი ძაბვის გამანაწილებელი მოწყობილობებისა და ტრანსფორმატორების რემონტი.

21. მიუთითეთ სამუშაოები, რომლებიც განეკუთვნება სპეციალურ სამუშაოებს. (მუხლი 4. პ 5.)
- ა. ძალოვანი ტრანსფორმატორის უქმი სვლის დენის გაზომვა
 - ბ. +მაღლივი სამუშაოები.
 - ც. ძალოვანი ტრანსფორმატორის ტრანსფორმაციის კოეფიციენტის განსაზღვრა.
 - დ. 35 კვ და მეტი ძაბვის გამანაწილებელი მოწყობილობებისა და ტრანსფორმატორების რემონტი.

22. მიუთითეთ სამუშაო, რომელიც განეკუთვნება სპეციალურ სამუშაოებს. (მუხლი 4. პ 5.)
- ა. +მოწყობილობის გამოცდა ამაღლებული ძაბვით (გარდა მეგაომეტრით სამუშაოებისა).
 - ბ. სატრანსფორმატორო ნამუშევარი ზეთის რეგენერაცია
 - ც. ძალოვანი ტრანსფორმატორში დანაკარგების სიმძლავრის განსაზღვრა
 - დ. 35 კვ და მეტი ძაბვის გამანაწილებელი მოწყობილობებისა და ტრანსფორმატორების რემონტი.

23. ნებადართულია, თუ არა იმ განკარგულების და განწესის შესრულება, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მოქმედი უსაფრთხოების წესების მოთხოვნებს? (მუხლი 4 პ. 8)
- ა. +აკრძალულია.
 - ბ. ნებადართულია გამონაკლის შემთხვევებში.
 - ც. ნებადართულია საწარმოს ხელმძღვანელობის თანხმობით.
 - დ. ნებადართულია მხოლოდ ზემდგომი ხელმძღვანელის თანხმობით.

მუხლი 5. ოპერატიული მომსახურება და ელექტროდანადგარების დათვალიერება

24. 1000 ვოლტს ზემოთ ელექტროდანადგარების ერთპიროვნულად მომსახურებისას ოპერატიულ ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალს, უნდა ჰქონდეს ელექტროუსაფრთხოების არანაკლებ ... (მუხლი

5. პ. 2.).

- ა. II საკვალიფიკაციო ჯგუფი.
- ბ. V საკვალიფიკაციო ჯგუფი.
- ც. III საკვალიფიკაციო ჯგუფი.
- დ. +IV საკვალიფიკაციო ჯგუფი.

25. 1000 ვოლტს ქვემოთ ელექტროდანადგარების ერთპიროვნულად მომსახურებისას ოპერატიულ ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალს უნდა ჰქონდეს ელექტროუსაფრთხოების არანაკლებ (მუხლი 5. პ. 2.).

- ა. +III საკვალიფიკაციო ჯგუფი.
- ბ. IV საკვალიფიკაციო ჯგუფი.

- ც. VI საკვალიფიკაციო ჯგუფი.
- დ. II საკვალიფიკაციო ჯგუფი.

26. მიუთითეთ შესაბამისი დასაშვები მინიმალური მანძილი, ადამიანებიდან და მათ მიერ გამოყენებული სამარჯვებიდან, დროებითი შემოღობვებიდან, 1 კვ-მდე სეგხ-მდე (მუხლი 5. პ.3.). ა. 0,1 მ
ბ. +0,6 მ
ც. 1 მ
დ. 1,5 მ

27. მიუთითეთ შესაბამისი დასაშვები მინიმალური მანძილი, ადამიანებიდან და მათ მიერ გამოყენებული სამარჯვებიდან, დროებითი შემოღობვებიდან 1-35 კვ ძაბვის ქვეშ მყოფ დენგამტარ ნაწილებამდე (მუხლი 5. პ.3.). ა. 0,1 მ
ბ. +0,6 მ
ც. 1 მ
დ. 1,5 მ

28. მიუთითეთ შესაბამისი დასაშვები მინიმალური მანძილი, ადამიანებიდან და მათ მიერ გამოყენებული სამარჯვებიდან, დროებითი შემოღობვებიდან, 110 კვ ძაბვის ქვეშ მყოფ დენგამტარ ნაწილებამდე (მუხლი 5. პ.3.). ა. 0,5 მ
ბ. 0,6 მ
ც. +1 მ
დ. 1,5 მ

29. მიუთითეთ შესაბამისი დასაშვები მინიმალური მანძილი, სამუშაო და სატრანსპორტო მდგომარეობაში მყოფი მექანიზმებიდან და ტვირთამწე მანქანებიდან ჯალამზარებიდან, ტვირთსატაცი მოწყობილობიდან და ტვირთებიდან 1 კვ-მდე სეგხ-მდე. (მუხლი 5. პ.3) ა. 0,5 მ
ბ. 0,6 მ
ც. +1 მ
დ. 1,5 მ

30. მიუთითეთ შესაბამისი დასაშვები მინიმალური მანძილი, სამუშაო და სატრანსპორტო მდგომარეობაში მყოფი მექანიზმებიდან, ტვირთამწე მანქანებიდან, ჯალამზარებიდან, ტვირთსატაცი მოწყობილობიდან და ტვირთებიდან 1 კვ-მდე ძაბვის ელექტროდანადგარებში. (მუხლი 5. პ.3)
ა. 0,5 მ
ბ. 0,6 მ
ც. +1 მ
დ. 1,5 მ

31. მიუთითეთ შესაბამისი დასაშვები მინიმალური მანძილი, სამუშაო და სატრანსპორტო მდგომარეობაში მყოფი მექანიზმებიდან, ტვირთამწე მანქანებიდან, ჯალამზარებიდან, ტვირთსატაცი

მოწყობილობიდან და ტვირთებიდან 1-35 კვ ძაბვის ელექტროდანადგარებამდე. (მუხლი 5. პ.3) ა.

- 0,5 მ
- ბ. 0,6 მ
- ც. +1 მ
- დ. 1,5 მ

32. მიუთითეთ შესაბამისი დასაშვები მინიმალური მანძილი, სამუშაო და სატრანსპორტო მდგომარეობაში მყოფი მექანიზმებიდან, ტვირთამწე მანქანებიდან, ჯალამბარებიდან, ტვირთსატაცი მოწყობილობიდან და ტვირთებიდან 110 კვ ძაბვის ელექტროდანადგარებამდე. (მუხლი 5. პ.3) ა.

- 0,5 მ
- ბ. 0,6 მ
- ც. 1 მ
- დ. +1,5 მ

33. ერთპიროვნული დათვალიერების უფლების მქონე ოპერატიულ ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალს უნდა ჰქონდეს ელექტროუსაფრთხოების არანაკლებ..... საკვალიფიკაციო ჯგუფი. (მუხლი 5. პ.4.).

- ა. II
- ბ. +III
- ც. IV
- დ. VI

34. ელექტროსადგურების და ქვესადგურების ერთპიროვნული დათვალიერების უფლების მქონე ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს უნდა ჰქონდეს ელექტროუსაფრთხოების არანაკლებ..... საკვალიფიკაციო ჯგუფი, და აღნიშნული უფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ორგანიზაციის ხელმძღვანელის განკარგულებით. (მუხლი 5. პ.4.). ა. II

- ბ. III
- ც. +V
- დ. IV

35. ელექტროდანადგარების და ტექნიკური მოწყობილობების ელექტროტექნიკური ნაწილის დათვალიერება არაელექტროტექნიკური პერსონალის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ შეიძლება ჩატარდეს ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ნებართვით მხოლოდ ... ? (მუხლი 5. პ.5.). ა. + ერთპიროვნული დათვალიერების უფლების მქონე პირის ზედამხედველობით

- ბ. II ჯგუფის მქონე პირის ზედამხედველობით;
- ც. IV ჯგუფის მქონე პირის ზედამხედველობით.
- დ. V ჯგუფის მქონე პირის ზედამხედველობით.

36. მომუშავეები რომლებიც მუდმივად არ ემსახურებიან ელექტროდანადგარებს ელექტროდანადგარებთან დაიშვებიან მხოლოდ ... (მუხლი 5. პ.6.).

- ა. + ოპერატიული, ოპერატიულ-სარემონტო პერსონალის ან ერთპიროვნული დათვალეირების უფლების მქონე პირის თანხლებით.
- ბ. III ჯგუფის მქონე პირის ზედამხედველობით;
- ც. IV ჯგუფის მქონე პირის ზედამხედველობით.
- დ. V ჯგუფის მქონე პირის ზედამხედველობით.

37. 1000 ვოლტზე მაღალი ძაბვის ელექტროდანადგარების დათვალეირებისას აკრძალულია: (მუხლი 5. პ.7.).

- ა. + შესვლა იმ სათავსოებსა და კამერებში, სადაც დენგამტარი ნაწილები არ არის დაცული შემოღობვებით და ბარიერებით, აგრეთვე დაუშვებელია შემოღობვის და ბარიერის შიგნით შესვლა;
- ბ. დათვალეირება განახორციელოს ერთპიროვნული დათვალეირების უფლების მქონე ოპერატიულ ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალმა;
- ც. დათვალეირება განახორციელოს მომუშავემ ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალიდან, რომელსაც აქვს უსაფრთხოების V ჯგუფი და აღნიშნული უფლება მინიჭებული აქვს ორგანიზაციის ხელმძღვანელის განკარგულებით.

38. რა დასაშვებ მანძილზე ახლოს არ შეიძლება მიუახლოვდეთ 6-35 კვ დახურულ გამანაწილებელ მოწყობილობაში მიწასთან მოკლედ შერთვის ადგილს გარდა ოპერატიული გადართვებისა და ძაბვის ქვეშ მოხვედრილი ადამიანების განთავისუფლების შემთხვევებისა? (მუხლი 5. პ.8.). ა.

- ა. არანაკლებ 2 მ.
- ბ. +არანაკლებ 4 მ.
- ც. არანაკლებ 6 მ.
- დ. არანაკლებ 8 მ.

39. რა დასაშვებ მანძილზე ახლოს არ შეიძლება მიუახლოვდეთ მიწასთან მოკლედ შერთვის ადგილს ღია გამანაწილებელ მოწყობილობებსა და საჭაერო ელექტროგადამცემ ხაზზე გარდა ოპერატიული გადართვებისა და ძაბვის ქვეშ მოხვედრილი ადამიანების განთავისუფლების შემთხვევებისა? (მუხლი

5. პ.8.).

- ა. არანაკლებ 2 მ.
- ბ. არანაკლებ 4 მ.
- ც. არანაკლებ 5 მ.
- დ. +არანაკლებ 8 მ.

40. რომელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები უნდა გამოვიყენოთ 1000 ვოლტზე მაღალი ძაბვის გამთიშველების, ხელის ამძრავით აღჭურვილი განმხოლოებლებისა და ამომრთველების ჩართვა-გამორთვისას? (მუხლი 5. პ.9.).

- ა. + დიელექტრიკული ხელთათმანები.
- ბ. ხალიჩა და დიელექტრიკული ბოტები.
- ც. ხალიჩა.

დ. ძაბვის მაჩვენებელი.

41. რომელ მოწყობილობაზეა დასაშვები მცველების შეცვლა ძაბვისა და დატვირთვის ქვეშე
(მუხლი

5. პ.10).

- ა. 6-10 კვ ძაბვის ძალოვან ტრანსფორმატორებზე.
- ბ. + მეორად და განათების ქსელებში, აგრეთვე ძაბვის ტრანსფორმატორების მცველების შეცვლისას.
- გ. აკრძალულია მცველების შეცვლა ძაბვისა და დატვირთვის ქვეშ.
- დ. წესებით არ არის რეგლამენტირებული.
42. რომელ მოწყობილობაზეა დასაშვები მცველების შეცვლა ძაბვის ქვეშ, მაგრამ დატვირთვის გარეშე? (მუხლი 5. პ. 10.).
- ა. + მინაერთებზე, რომელთა სქემაში არ არის საკომუტაციო აპარატები, რომლითაც შეიძლება ძაბვის მოხსნა.
- ბ. 1000 ვოლტამდე ელექტროდანადგარებში რეზინის ხალიჩების გამოყენებით.
- გ. 1000 ვოლტს ზემოთ ელექტროდანადგარებში დიელექტრიკული ხალიჩებისა და დამცავი სათვალეების გამოყენებით.
- დ. ძაბვის ქვეშ დატვირთვის გარეშე, აკრძალულია მცველების შეცვლა.
43. ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან, ძაბვის ქვეშ მყოფი მცველების მოხსნა-დაყენებისას 1000 ვოლტს ზემოთ ელექტროდანადგარებში, რომელი დაცვის საშუალებების გამოყენებაა აუცილებელი? (მუხლი 5. პ. 11.).
- ა. + მაიზოლირებული მარწუხები, სახის და თვალების დამცავი საშუალებები, დიელექტრიკული ხელთათმანები.
- ბ. იზოლირებულ სახელურიანი სახრახნისი.
- გ. ხალიჩა.
- დ. დიელექტრიკული ბოტები.
44. აუცილებელია თუ არა დაიკეტოს საკეპით იმ ელექტროდანადგარების შენობების, კამერების, ფარების და შემკრებების კარები სადაც არ წარმოებს სამუშაოები? (მუხლი 5. პ. 12.)
- ა. არა.
- ბ. + დიახ.
- გ. უნდა დაიკეტოს მხოლოდ იმ კამერების კარებები, რომლებშიც მიმდინარეობს მუშაობა.
- დ. უნდა დაიკეტოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ხელმძღვანელობის წერილობითი განკარგულება.
45. ვისთან უნდა ინახებოდეს 1000 ვოლტზე მაღალი ძაბვის ელექტროდანადგარების (დგმ-ის, დგმის, კგმ-ის სათავსოების და კამერების), აგრეთვე მათ გარეთ განლაგებული 1000 ვოლტამდე ძაბვის გამანაწილებელი ფარების და შემკრებების, სააკუმულატორო სათავსოს კარების, მუდმივი შემოღობვების და ბლოკირებების გასაღებები? (მუხლი 5 პ. 13) ა. +
- ოპერატიულ პერსონალთან (მორიგე პერსონალთან).
- ბ. IV სკვალიფიკაციო ჯგუფის მქონე პერსონალთან.
- გ. სარემონტო პერსონალთან.
- დ. აღრიცხვის სამსახურის პერსონალთან.

46. რომელ პერსონალზე გაიცემა შესაბამისი ხელმოწერით, ელექტროდანადგარის სათავსოს გასაღებები? (მუხლი 5 პ. 13.)
- ა. + ერთპიროვნული დათვალიერების უფლების მქონე პირებზე – ყველა სათავსოს გასაღებები.
 - ბ. სადისპეტჩეროს პერსონალზე.
 - ც. მხოლოდ აღრიცხვის ჯგუფის პერსონალზე.
 - დ. ენერგოზედამხედველობის პერსონალზე.
47. რომელ პერსონალზე გაიცემა შესაბამისი ხელმოწერით, ელექტროდანადგარის სათავსოს გასაღებები? (მუხლი 5 პ. 13.)
- ა. + დამშვებზე, სამუშაოთა ხელმძღვანელსა და მწარმოებელზე, მეთვალყურეზე – სათავსოებისა, რომლებშიც უნდა იმუშაონ. ბ. დიაგნოსტიკის პერსონალზე.
 - ც. სარელეო დაცვის პერსონალზე.
 - დ. ენერგოზედამხედველობის პერსონალზე.
48. გასაღებების დაბრუნების როგორი წესი არსებობს ელექტროდანადგარებში, რომელსაც ემსახურება მუდმივი ოპერატიული პერსონალი? (მუხლი 5 პ. 13.)
- ა. გასაღებების დაბრუნების დრო განისაზღვრება საწარმოს ხელმძღვანელის განკარგულებით.
 - ბ. + გასაღების დაბრუნება უნდა მოხდეს ყოველდღიურად დათვალიერების ან სამუშაოს დამთავრების შემდეგ.
 - ც. გასაღებების დაბრუნება უნდა მოხდეს მომდევნო დღის სამუშაო დროის დამთავრებამდე.
 - დ. გასაღებების დაბრუნება უნდა მოხდეს მხოლოდ განწესის დახურვის შემდეგ.
49. უბედური შემთხვევის დროს საჭიროა, თუ არა წინასწარი ნებართვის აღება ძაბვის მოხსნაზე, დაზარალებულის ელექტროდენის ზემოქმედებისაგან გასანთავისუფლებლად? (მუხლი 5 პ.14.)
- ა. ძაბვის მოხსნა დასაშვებია მხოლოდ უშუალო ხელმძღვანელის ნებართვით. .
 - ბ. + არ არის საჭირო.
 - ც. წესებით არ არის განსაზღვრული.
 - დ. ძაბვის მოხსნა დასაშვებია მხოლოდ ზემდგომი ოპერატიული პირის ნებართვით.

მუხლი 6. სამუშაოთა შესრულების წესი და პირობები

50. არსებული წესებით ნებადართულია, თუ არა თვითნებური მუშაობა, აგრეთვე განწესით ან განკარგულებით განსაზღვრული სამუშაო ადგილების და დავალების მოცულობის გაფართოება?

(მუხლი 6 პ.2)

- ა. + აკრძალულია.
- ბ. ნებადართულია ცალკეულ შემთხვევაში.
- ც. ნებადართულია მხოლოდ ზემდგომი ოპერატიული პერსონალის თანხმობით.
- დ. ნებადართულია უშუალო ხელმძღვანელის თანხმობით.

51. საჭიროებს თუ არა არსებული წესებით ელექტროდანადგარებში ნებისმიერი სამუშაოს შესრულება სხვა განწესის მოქმედების ზონაში, შეთანხმებული იქნას ადრე დაწყებული სამუშაოს ხელმძღვანელთან ან განწესის გამცემთან? (მუხლი 6 პ.3.)

ა. + დიახ და შეთანხმება ფორმდება სამუშაო ადგილის მომზადებამდე განწესის პირველ გვერდზე ჩანაწერით "შეთანხმებულია" და შემთანხმებულ პირთა ხელმოწერით. ბ. არ არის საჭირო.

ც. საჭიროა მხოლოდ ზემდგომი ხელმძღვანელის მითითების შემთხვევაში.

დ. წესებით არ არის განსაზღვრული.

52. ნებადართულია, თუ არა ელექტროდანადგარებში მოხრილ მდგომარეობაში მუშაობა, თუ გამართვისას მცირდება მანძილი დენგამტარ ნაწილებამდე დასაშვებ მანძილზე ახლოს? (მუხლი 6 პ.7.) ა. ნებადართულია.

ბ. +აკრძალულია.

ც. ნებადართულია, მხოლოდ ოპერატიული პირის ზედამხედველობით.

დ. ნებადართულია, მხოლოდ IV ჯგუფის მქონე პირის ზედამხედველობით.

53. შეიძლება, თუ, არა ელექტროდამცავი საშუალებების გამოყენების გარეშე იზოლატორებთან და ძაბვის ქვეშ მყოფ მოწყობილობების მაიზოლირებელ ნაწილებთან შეხება? (მუხლი 6 პ.9) ა. შეიძლება.

ბ. +აკრძალულია.

ც. წესებით არ არის განსაზღვრული.

დ. შეიძლება მხოლოდ ხანმოკლე პერიოდით.

54. ელექტროდანადგარების შემოუღობავ დენგამტარ ნაწილებთან ახლოს მუშაობის დროს დასაშვებია თუ არა, ძაბვის ქვეშ მყოფი ნაწილების მომუშავის ზურგს უკან ან მისგან ორივე გვერდით მხარეს მოქცევა? (მუხლი 6 პ.8) ა. შეიძლება.

ბ. +აკრძალულია.

ც. წესებით არ არის განსაზღვრული.

დ. შეიძლება მხოლოდ ხანმოკლე პერიოდით.

55. საჰაერო და საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის ელექტრულად დაკავშირებული ნაწილების (სადენების, გვარლების) შეერთების ან გაწყვეტის წინ აუცილებელია ამ მონაკვეთების პოტენციალების გათანაბრება. პოტენციალთა გათანაბრება ხორციელდება... (მუხლი 6 პ.10.)

ა. + ამ მონაკვეთების ერთმანეთთან გამტარით შეერთებით ან წყვეტის ორივე მხარის ერთ დამამიწებელზე (დამიწებულ მოწყობილობებზე) მიერთებით.

ბ. წყვეტის ორივე მხარეს ცალკე-ცალკე დამიწების დაყენებით.

ც. წყვეტის ერთი მხარის სადენების მიერთებით დამამიწებელ მოწყობილობასთან.

დ. წესებით არ არის განსაზღვრული.

56. რა მანძილზე ახლოს არ შეიძლება მიუახლოვდეთ დენგამტარ ნაწილებს ელექტროდამცავი საშუალებებით (მაიზოლირებელი შტანგებისა და მარწუხების, ელექტრომზომი მარწუხებისა და შტანგების, ძაბვის მაჩვენებლების) მუშაობისას? (მუხლი 6 პ.11.) ა. არანაკლებ 1 მ.

ბ. არანაკლებ 2 მ.

ც. არანაკლებ 3 მ.

დ. + მაიზოლირებელი შტანგებისა და მარწუხების, ელექტრომზომი მარწუხებისა და

შტანგების, ძაბვის მაჩვენებლების მაიზოლორებელი ნაწილების სიგრძეზე მეტად.

57. როგორ ხდება ბაგირების გადაკიდება საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გადაკვეთის მალეში სადენების შეცვლისას, როდესაც შესაცვლელი სადენები მდებარეობს ძაბვის ქვეშ მყოფი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის ქვემოთ? (მუხლი 6 პ.12.)

ა + ბაგირები უნდა გადაიკიდოს გადაკვეთის ადგილის ორივე მხარეს და მათი ბოლოები უნდა დამაგრდეს ღუზაზე, კონსტრუქციებზე და ა.შ. სადენის აწევა უნდა ხდებოდეს ნელა და მდორედ.

ბ. ბაგირები უნდა გადაიკიდოს გადაკვეთის ადგილის ერთ მხარეს, სადენის აწევა უნდა ხდებოდეს ნელა და მდორედ.

ც. უნდა გადაიკიდოს ფოლადის ბაგირები გადაკვეთის ერთ მხარეს.

დ. უნდა გადაიკიდოს ფოლადის ბაგირები გადაკვეთის ადგილის ორივე მხარეს.

58. შეიძლება თუ არა ძაბვის გაქრობის შემდეგ ელექტროდანადგარს ძაბვა მიეწოდოს გაუფრთხილებლად? (მუხლი 6 პ.14.) ა. + შეიძლება.

ბ. არ შეიძლება.

ც. წესებით არ არის განსაზღვრული.

დ. შეიძლება მხოლოდ 1000 ვ-მდე ძაბვის ქსელში.

59. შეიძლება თუ არა ავარიულ სიტუაციაში გაუნათებელ ადგილებში სამუშაოების წარმოება? (მუხლი 6 პ.15.)

ა. +არ შეიძლება.

ბ. შეიძლება.

ც. შეიძლება მხოლოდ ზემდგომი პირის მითითებით.

დ. წესებით არ არის განსაზღვრული.

60. ჭექა-ქუხილის მოახლოებისას ნებადართულია, თუ არა სამუშაოების გაგრძელება საჰაერო ელექტროგადამცემ, საკაბელო, ღია გამანაწილებელ მოწყობილობებში? (მუხლი 6 პ.16.) ა. + აკრძალულია.

ბ. ნებადართულია.

ც. ნებადართულია, მხოლოდ ბამბეულის სპეცტანსაცმლით მუშაობის შემთხვევაში.

დ. წესებით არ არის განსაზღვრული.

61. მიუთითეთ სათავსოები, რომლებშიც დასაშვებია სამუშაოთა წარმოება დამცავი ჩაჩქანის გარეშე

(მუხლი 6 პ. 17.)

ა. + მართვის, სარელეო და მათი მსგავსი ფარები.

ბ. ღია გამანაწილებელი მოწყობილობა.

ც. ჭები. გვირაბები და არხები.

დ. სეგხ-ები.

62. უსაფრთხოების რომელი მინიმალური ჯგუფი უნდა ჰქონდეს, ადგილობრივი ოპერატიული პერსონალის არსებობისას საწარმოს ან სხვა ორგანიზაციის შემადგენლობის მუშაკს, რომელსაც შეუძლია ერთპიროვნულად მორიგის ნებართვით ჩაიწეროს მართვის ფარეზზე და გმ-ში დაყენებული მრიცხველებისა და სხვა საზომი ხელსაწყოების ჩვენებები? (მუხლი 6 პ.20.)

- ა. +II
- ბ. III
- ც. IV
- დ. V

63. უსაფრთხოების რომელი მინიმალური ჯგუფი უნდა ჰქონდეს, ადგილობრივი ოპერატიული პერსონალის არსებობისას მუშაკს, რომელსაც შეუძლია ერთპიროვნულად ჩაიწეროს მართვის ფარეზზე და გმ-ში დაყენებული მრიცხველებისა და სხვა საზომი ხელსაწყოების ჩვენებები? (მუხლი 6 პ. 20.) ა. II.

- ბ. +III.
- ც. IV.
- დ. V

მუხლი 7. ორგანიზაციული ღონისძიებები (საერთო მოთხოვნები, სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, მათი უფლებები და მოვალეობები)

64. მიუთითეთ პუნქტი, რომლებიც არ განეკუთვნება ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულებისათვის საჭირო ორგანიზაციულ ღონისძიებებს (მუხლი 7 პ.1.) ა. სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულებაზე პასუხისმგებელ პირთა დანიშვნა.

- ბ. განწესის ან განკარგულების გაცემა.
- ც. სამუშაო ადგილის მომზადებასა და დაშვებაზე ნებართვის გაცემა.
- დ. + ამკრძალავი და გამაფრთხილებელი პლაკატების გამოკიდება.

65. მიუთითეთ პუნქტი, რომლებიც არ განეკუთვნება ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულებისათვის საჭირო ორგანიზაციულ ღონისძიებებს (მუხლი 7 პ.1.) ა. + აუცილებელი გამორთვების ჩატარება.

- ბ. ზედამხედველობა სამუშაოს შესრულების დროს.
- ც. სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანა.
- დ. მუშაობის დროს შესვენებისა და სამუშაოს დამთავრების გაფორმება.

66. მიუთითეთ პირები, რომლებიც არ არიან პასუხისმგებელი სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებაზე (მუხლი 7 პ.1.)

- ა. განწესის ან განკარგულების გამცემი, სამუშაო ადგილის მომზადებასა და დაშვებაზე ნებართვის გამცემი.
- ბ. სამუშაო ადგილის მომზადებელი პირი, დამშვები, სამუშაოს მწარმოებელი.
- ც. მეთვალყურე, ბრიგადის წევრი.
- დ. + მ/ც-ის მენეჯერი, უტ. ინჟინერი.

67. რაზე არ არის პასუხისმგებელი განწესის გამცემი? (მუხლი 7 პ.3)
- ა. განწესში მითითებული ღონისძიებების სისწორისა და საკმარისობაზე.
 - ბ. ბრიგადის შემადგენლობის ხარისხზე და რაოდენობაზე.
 - ც. პასუხისმგებელ პირთა დანიშვნაზე.
 - დ. + აუცილებელი დამცავი საშუალებებისა და ინსტრუმენტების არსებობასა და გამართულობაზე.

68. ვის აქვს უფლება გასცეს განწესი ელექტროდანადგარებში სამუშაოების ჩასატარებლად?
(მუხლი

7 პ.4)

- ა. + პირებს, საწარმოს ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალიდან და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან, ელექტროუსაფრთხოების V ჯგუფით თუ ამის შესახებ არსებობს საწარმოს ხელმძღვანელის წერილობითი განკარგულება.
- ბ. მოცემული ელექტროდანადგარის მომსახურე III ჯგუფის მქონე ოპერატიულ პერსონალს.
- გ. მოცემული ელექტროდანადგარის მომსახურე IV ჯგუფის მქონე სარემონტო პერსონალს.
- დ. მოცემული ელექტროდანადგარის მომსახურე ელექტროტექნიკურ პერსონალს.

69. ვის აქვს უფლება გასცეს განწესი ელექტროდანადგარებში სამუშაოების ჩასატარებლად, ავარიის აღმოფხვრისა და მისი შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების საწარმოებლად, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის არყოფნის შემთხვევაში? (მუხლი 7 პ.4)

- ა. + IV ელექტროუსაფრთხოების ჯგუფის მქონე ოპერატიულ პერსონალს, თუ ამის შესახებ არსებობს საწარმოს ხელმძღვანელის წერილობითი განკარგულება.
- ბ. მოცემული ელექტროდანადგარის მომსახურე III ჯგუფის მქონე ოპერატიულ პერსონალს.
- გ. მოცემული ელექტროდანადგარის მომსახურე ელექტროტექნიკურ პერსონალს.
- დ. სარემონტო პერსონალს V ჯგუფით.

70. სამუშაოს ხელმძღვანელი პასუხს აგებს განწესში მითითებული უსაფრთხოების ყველა ღონისძიებების განხორციელებისა და მათი საკმარისობისათვის. მიუთითეთ კიდევ რაზეა პასუხისმგებელი სამუშაოს ხელმძღვანელი? (მუხლი 7 პ.6.)

- ა. + სამუშაოთა მწარმოებლისა და დამშვევების მიერ ბრიგადებისათვის ჩატარებული ინსტრუქტაჟის მთლიანად და ხარისხიანად შესრულებაზე, სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმართვაზე.
- ბ. აუცილებელი დამცავი საშუალებებისა და ინსტრუმენტების არსებობასა და გამართულობაზე.
- გ. ბრიგადის შემადგენლობის ხარისხსა და რაოდენობაზე.

71. სამუშაოს ხელმძღვანელად ინიშნება ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი არანაკლებ:
(მუხლი 7 პ.7.)

- ა. IV საკვალიფიკაციო ჯგუფით.
- ბ. III საკვალიფიკაციო ჯგუფით.
- გ. +V საკვალიფიკაციო ჯგუფით.
- დ. VI საკვალიფიკაციო ჯგუფით.

72. მოქმედი წესებით მოითხოვება თუ, არა სამუშაოს ხელმძღვანელის დანიშვნა ელექტროდანადგარებში, რომლებზედაც ძაბვა მოხსნილია ყველა დენგამტარი ნაწილებიდან.
(მუხლი 7 პ.8.)

- ა. +არ მოითხოვება.
- ბ. მოითხოვება.
- გ. მოითხოვება ზემდგომი ოპერატიული პირის თანხმობით.
- დ. წესებით არ არის განსაზღვრული.

73. რაზეა პასუხისმგებელი სამუშაო ადგილის მომზადებასა და დაშვებაზე ნებართვის გამცემი პირი? (მუხლი 7 პ.9)

ა. +სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო აუცილებელი გამორთვებისა და მოწყობილობების დამიწების ღონისძიებების საკმარისობაზე. დასაშვები ბრიგადების დროისა და სამუშაო ადგილის კოორდინაციაზე.

ბ. სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმართვაზე.

ც. ბრიგადის შემადგენლობის ხარისხსა და რაოდენობაზე.

დ. აუცილებელი დამცავი საშუალებებისა და ინსტრუმენტების არსებობასა და გამართულობაზე.

74. რაზე არ არის პასუხისმგებელი დამშვები? (მუხლი 7 პ.10)

ა. განხორციელებული გამორთვებისა და გატარებული უსაფრთხოების ღონისძიებების სისწორისა და საკმარისობაზე, აგრეთვე მათ შესაბამისობაზე განწესში მითითებულთან.

ბ. + აუცილებელი დამცავი საშუალებებისა და ინსტრუმენტების არსებობასა და გამართულობაზე.

ც. სამუშაოზე სწორად დაშვებაზე.

დ. მის მიერ ინსტრუქტაჟის სრულყოფილად და ხარისხიანად ჩატარებაზე.

75. უსაფრთხოების რომელი ჯგუფი უნდა ჰქონდეს დამშვებს 1000 ვოლტზე მაღალი ძაბვის ელექტროდანადგარებში მუშაობისას? (მუხლი 7 პ.11) ა. III საკვალიფიკაციო ჯგუფი.

ბ. +IV საკვალიფიკაციო ჯგუფი.

ც. V საკვალიფიკაციო ჯგუფი.

დ. VI საკვალიფიკაციო ჯგუფი.

76. მიუთითეთ ჩამონათვალიდან რაზე არ არის პასუხისმგებელი სამუშაოს მწარმოებელი? (მუხლი

7 პ.12)

ა. ბრიგადის წევრებთან ინსტრუქტაჟის მკაფიოდ და სრულად ჩატარებაზე.

ბ. სამუშაოს უსაფრთხოდ ჩატარებაზე და ბრიგადის წევრებისა და მის მიერ არსებული წესების დაცვაზე.

ც. ბრიგადის წევრებზე მუდმივი კონტროლის განხორციელებაზე.

დ. + ბრიგადის წევრების შემადგენლობის ხარისხსა და რაოდენობაზე.

77. ელექტროდანადგარებში განკარგულებით მუშაობისას სამუშაოს მწარმოებელს შეიძლება ჰქონდეს ელექტროუსაფრთხოების ... (მუხლი 7 პ.12) ა. +III საკვალიფიკაციო ჯგუფი.

ბ. IV საკვალიფიკაციო ჯგუფი.

ც. V საკვალიფიკაციო ჯგუფი.

დ. VI საკვალიფიკაციო ჯგუფი.

78. ელექტროდანადგარებში განწესით მუშაობისას სამუშაოს მწარმოებელს უნდა ჰქონდეს ელექტროუსაფრთხოების ... (მუხლი 7 პ.12) ა. III საკვალიფიკაციო ჯგუფი.
ბ. +IV საკვალიფიკაციო ჯგუფი.
ც. V საკვალიფიკაციო ჯგუფი.
დ. VI საკვალიფიკაციო ჯგუფი.
79. მეთვალყურე პასუხს აგებს მომზადებული სამუშაო ადგილის შესაბამისობაზე განწესში მითითებულთან. რაზე არ არის პასუხისმგებელი მეთვალყურე? (მუხლი 7 პ.13.)
ა. სამუშაო ადგილზე დაყენებული დამიწებების შემოღობვების, პლაკატების, უსაფრთხოების ნიშნებისა და ამძრავების ჩამკეტი მოწყობილობების არსებობასა და დაცულობაზე.
ბ. ბრიგადის წევრების უსაფრთხოებაზე ელექტროდანადგარების ელექტრული დენით გამოწვეული დაზიანებისაგან.
ც. ბრიგადის წევრების ინსტრუქტაჟის მკაფიოდ და სრულად ჩატარებაზე.
დ. +სამუშაო ტექნოლოგიასთან დაკავშირებულ უსაფრთხოებაზე.
80. მეთვალყურედ შეიძლება დაინიშნოს პირი ელექტროუსაფრთხოების არანაკლებ ... (მუხლი 7 პ.13.)
ა. II საკვალიფიკაციო ჯგუფით.
ბ. +III საკვალიფიკაციო ჯგუფით.
ც. IV საკვალიფიკაციო ჯგუფი.
დ. VI საკვალიფიკაციო ჯგუფით.
81. ვინ არის პასუხისმგებელი ბრიგადის ყველა წევრის სამუშაოს ტექნოლოგიასთან დაკავშირებულ უსაფრთხოებაზე? (მუხლი 7 პ.14.)
ა. +ბრიგადის ხელმძღვანელი;
ბ. დამშვეები.
ც. განწესის გამცემი.
დ. სამუშაო ადგილის მომზადებაზე და დაშვებაზე ნებართვის გამცემი პირი.
82. სად უნდა დაფიქსირდეს ბრიგადის ხელმძღვანელის გვარი? (მუხლი 7 პ.14.)
ა. +განწესის სტრიქონში „ცალკეული მითითებანი“;
ბ. განწესის სტრიქონში „ევალებათ“.
ც. განწესის მეორე ცხრილის მესამე სვეტში.
დ. განწესის მე-3 ცხრილში.
83. ვისი მოვალეობა შეუძლია შეითავსოს განწესის გამცემმა პირმა? (მუხლი 7 პ.16)
ა. + სამუშაოს ხელმძღვანელის ან დამშვეების ელექტროდანადგარებში ადგილობრივი მორიგე პერსონალის გარეშე.
ბ. სამუშაოს მწარმოებლის.
ც. დამშვეების ელექტროდანადგარებში ადგილობრივი მორიგე პერსონალით.
დ. ბრიგადის წევრის.

84. ვისი მოვალეობა შეუძლია შეითავსოს სამუშაოს ხელმძღვანელმა? (მუხლი 7 პ.16.)

ა. +სამუშაოს მწარმოებლის ან დამშვევების ელექტროდანადგარებში ადგილობრივი მორიგე პერსონალის გარეშე.

ბ. ბრიგადის ხელმძღვანელის.

ც. დამშვევების ელექტროდანადგარებში ადგილობრივი მორიგე პერსონალით.

დ ბრიგადის წევრის.

მუხლი 8. განწესით სამუშაოთა ორგანიზების წესი

85. რა შემთხვევაში იწერება განწესი სამ ეგზემპლარად? (მუხლი 8 პ.1)
- ა. +განწესის ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტით გადაცემისას.
 - ბ. სამუშაოს მწარმოებლის მიერ დამშვების მოვალეობის შესრულებისას.
 - ც. სამუშაოს ხელმძღვანელის მიერ სამუშაოს მწარმოებლის მოვალეობის შესრულებისას.
 - დ. ბრიგადის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში.
86. ვინ განსაზღვრავს ერთ სამუშაოს ხელმძღვანელზე გასაცემი განწესების რიცხვს? (მუხლი 8 პ.2)
- ა. +განწესის გამცემი პირი.
 - ბ. ფილიალის მთავარი ინჟინერი.
 - ც. ენერგოკომპანიის ხელმძღვანელი.
 - დ. ფილიალის დირექტორი.
87. რა ვადითაა ნებადართული განწესის გაცემა? (მუხლი 8 პ.3)
- ა. +მუშაობის დაწყებიდან არაუმეტეს 15 დღით.
 - ბ. მუშაობის დაწყებიდან არაუმეტეს 10 დღით.
 - ც. მუშაობის დაწყებიდან არაუმეტეს 20 დღით.
 - დ. მუშაობის დაწყებიდან არაუმეტეს 30 დღით.
88. რა ვადითაა ნებადართული განწესის ვადის გაგრძელება? (მუხლი 8 პ. 4)
- ა. არაუმეტეს 20 დღით.
 - ბ. +არაუმეტეს 15 დღით.
 - ც. არაუმეტეს 5 დღით.
 - დ. არაუმეტეს 30 დღით.
89. მოქმედი წესების თანახმად ვის აქვს უფლება გაუგრძელოს განწესის ვადა? (მუხლი 8 პ. 4)
- ა. +მოცემულ ელექტროდანადგარებზე განწესის გამცემ პირს.
 - ბ. V საკვალიფიკაციო ჯგუფის მქონე ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს.
 - ც. სამუშაოს მწარმოებელს.
 - დ. სამუშაოს ხელმძღვანელს.
90. მოქმედი წესების თანახმად ვის აქვს უფლება გაუგრძელოს განწესის ვადა? (მუხლი 8 პ. 4)
- ა. +მოცემულ ელექტროდანადგარში სამუშაოებზე განწესის გაცემაზე უფლებამოსილ პირს.
 - ბ. V საკვალიფიკაციო ჯგუფის მქონე ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს.
 - ც. სამუშაოს მწარმოებელს.
 - დ. სამუშაოს ხელმძღვანელს.

91. მიუთითეთ იმ განწესების შენახვის ვადა, რომელთა მიხედვითაც სამუშაოები მთლიანად დამთავრებულია (მუხლი 8 პ.5)
- ა. 15 დღე.
 - ბ. +30 დღე.
 - ც. 50 დღე.
 - დ. 40 დღე.
92. მიუთითეთ შემთხვევები, როდესაც წინამდებარე წესებით ნებადართულია ერთი განწესის გაცემა 1000 ვ-ზე მაღალი ძაბვის ელექტროდანადგარის ყველა მიერთებებზე ერთდროული მუშაობისას: (მუხლი 8 პ. 39)
- ა. +ელექტროდანადგარებზე მუშაობისას, როდესაც ძაბვა მოხსნილია ყველა დენგამტარი ნაწილიდან, მათ შორის საჰაერო და საკაბელო ხაზების გამომყვანებიდან და ჩაკეტილია შესასვლელები მეზობელ ელექტროდანადგარში.
 - ბ. ერთი ძაბვის ელექტროძრავების მკვებავ სხვადასხვა გმ-ის მიერთებებზე.
 - ც. სხვადასხვა ძაბვის ელექტროძრავებზე მუშაობისას.
 - დ. წესებით არ არის განსაზღვრული.
93. სხვადასხვა სამუშაო ადგილებზე ბრიგადების განლაგებისას ბრიგადის ერთ ან რამოდენიმე წევრს უფლება აქვს იმუშაოს სამუშაოს მწარმოებლისაგან განცალკევებით ელექტროუსაფრთხოების არანაკლებ... (მუხლი 8 პ 13)
- ა. II ჯგუფით
 - ბ. +III ჯგუფით
 - ც. IV ჯგუფით
 - დ. V ჯგუფით
94. თუ ბრიგადის წევრები მუშაობენ სამუშაოს მწარმოებლისაგან განცალკევებით, სამუშაოთა მწარმოებელმა უნდა ... (მუხლი 8 პ 13)
- ა. + მიიყვანოს ისინი სამუშაო ადგილზე, ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების ღონისძიებებზე.
 - ბ. დაავალოს მეთვალყურეობა სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებაზე ერთ-ერთ ბრიგადის წევრს.
 - ც. გააფორმოს ბრიგადის წევრების განცალკევებით მუშაობა განწესის მე-4 ცხრილში.
 - დ. გააფორმოს ბრიგადის წევრების განცალკევებით მუშაობა განწესის მე-3 ცხრილში.
95. მიუთითეთ როდის არ არის ნებადართული ერთი განწესის გაცემა ერთი ტიპის სამუშაოების რიგრიგობით შესასრულებლად რამოდენიმე ქვესადგურზე ან ერთი ქვესადგურის რამოდენიმე მინაერთზე. (მ 8 პ14)
- ა. ტრანსფორმატორების გრაგნილების განშტოებების გადართვისას.
 - ბ. რელეური დაცვის, ელექტროავტომატიკის მოწყობილობების, მზომი ხელსაწყოების შემოწმებისას.
 - ც. +დაბალი და მაღალი ძაბვის საკაბელო ხაზების განშტოებებზე მუშაობისას.

დ. გარე წყაროდან ამალღებული ძაბვით გამოცდისას.

96. რა ვადითაა დასაშვები ერთი განწესის გაცემა რამოდენიმე ქვესადგურზე ან ერთი ქვესადგურის რამოდენიმე მინაერთზე ერთი ტიპის სამუშაოების რიგრიგობით შესასრულებლად? (მ 8 პ 14) ა. 15 დღე-ღამე.

ბ. +1 დღე-ღამე.

ც. 30 დღე-ღამე.

დ. 10 დღე-ღამე.

მუხლი 9. სამუშაოები გამანაწილებელი მოწყობილობების საჰაერო, საკაბელო ელექტროგადაცემის ხაზების და კავშირგაბმულობის უბნებზე

97. ვინ უნდა გასცეს განწესი გამანაწილებელი მოწყობილობის ტერიტორიაზე განლაგებულ საჰაერო ხაზის უბნებზე სამუშაოების შესასრულებლად? (მუხლი 9 პ1) ა. +საჰაერო ხაზის მომსახურე პერსონალმა.

ბ. გამანაწილებელი მოწყობილობის მომსახურე პერსონალმა.

ც. საკაბელო ხაზის მომსახურე პერსონალმა.

დ. წესებით არ არის განსაზღვრული.

98. ვინ ახორციელებს დაშვებას გამანაწილებელ მოწყობილობაში განლაგებულ ბოლო ქუროვებზე და ჩამაგრებებზე მუშაობისას? (მუხლი 9 პ2)

ა. +გამანაწილებელი მოწყობილობის მომსახურე პერსონალი.

ბ. საკაბელო ხაზის მომსახურე პერსონალი

ც. საჰაერო ხაზის მომსახურე პერსონალი.

99. ვინ ახორციელებს დაშვებას გამანაწილებელი მოწყობილობის ტერიტორიაზე გამავალი საკაბელო არხებში ჩალაგებულ საკაბელო ხაზებზე მუშაობისას? (მუხლი 9 პ2)

ა. +საკაბელო ხაზის მომსახურე პერსონალი გამანაწილებელი მოწყობილობის მომსახურე ოპერატიული პერსონალისაგან ნებართვის მიღების შემდეგ.

ბ. გამანაწილებელი მოწყობილობის მომსახურე პერსონალი.

ც. საჰაერო ხაზის მომსახურე პერსონალი.

მუხლი 10. განწესით მუშაობა მრავალჯაჭვა სეგბ-ზე, სეგბ-ის გადაკვეთებზე, სეგბ-ის სხვადასხვა უბნებზე

100. რა შემთხვევაშია დასაშვები ერთი განწესის გაცემა სხვადასხვა საჰაერო ხაზზე (მრავალჯაჭვიან საჰაერო ხაზზე) მუშაობისას? (მუხლი 10 პ 1)

ა. +1000 ვოლტამდე საჰაერო ხაზზე რიგრიგობით მუშაობისას, თუ მათი მკვებავი სატრანსფორმატორო პუნქტები გამორთულია.

ბ. რამდენიმე საჰაერო ხაზის დენგაუმტარ ნაწილებზე სხვადასხვა ტიპის სამუშაოების შესრულებისას, როდესაც საჭიროა საჰაერო ხაზის გამორთვა ც. დასაშვებია ნებისმიერ შემთხვევაში.

101. განწესში მიეთითება თუ არა სარემონტო ხაზის გადამკვეთი ელექტროგადამცემი ხაზი, რომელიც უნდა გამოირთოს და დამიწდეს? (მუხლი 10 პ 2) ა. + მიეთითება.

ბ. არ მიეთითება.

ც. მიეთითება მხოლოდ ზემდგომი ხელმძღვანელობის ნებართვით.

დ. მიეთითება ზემდგომი ოპერატიული პირის ნებართვით.

102. გამორთულ საჰაერო ხაზზე ბრიგადის წევრების განლაგება ნებადართულია, თუ აბ რიგადებს შორის არის არაუმეტეს ... კმ (გარდა გრძელ ანკერულ მალში სადენების გვარლების მონტაჟისა და დემონტაჟის სამუშაოებისა). (მუხლი 10 პ 4)

ა. 1 კმ.

ბ. +2კმ.

ც. 3 კმ.

დ. 4 კმ.

103. დიდი სიგრძის ანკერული მალის საზღვრებში ერთი ბრიგადის სამუშაო უბნის სიგრძეს განსაზღვრავს (მუხლი 10 პ 4) ა. +განწესის გამცემი.

ბ. დამშვები.

ც. სამუშაოს მწარმოებელი.

დ. სამუშაოს ხელმძღვანელი.

104. მოქმედი წესებით მოითხოვება თუ არა, საჰაერო ხაზის სხვადასხვა უბნებზე და ანძებზე ერთი განწესით მუშაობისას ბრიგადის სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანის გაფორმება განწესში? (მუხლი 10 პ

5)

ა. +არ მოითხოვება.

ბ. მოითხოვება.

ც. მოითხოვება განწესის ცალკეულ მითითებებში ჩანაწერის გაფორმებით.

დ. მოითხოვება განწესის მე-3 ცხრილში ჩანაწერის გაფორმებით.

მუხლი 11. განკარგულებით შესასრულებელი სამუშაოების ორგანიზება

105. რა ვადითაა ნებადართული განკარგულების გაცემა? (მუხლი 11. პ1.)

ა. +განკარგულებას აქვს ერთჯერადი ხასიათი და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება შემსრულებელთა სამუშაო დღის ხანგრძლივობით. ბ. არაუმეტეს 5 დღით.

ც. არსებული წესებით განკარგულების მოქმედების ვადა არაა განსაზღვრული.

დ. 15 სამუშაო დღით.

106. ნებადართულია, თუ არა, განკარგულების ვადის გაგრძელება? (მუხლი 11 პ1) ა.
ნებადართულია.
- ბ. +აკრძალულია.
- ც. ნებადართულია მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში.
- დ. წესებით არ არის განსაზღვრული.
107. ვის ეძლევა სამუშაოების შესრულებაზე განკარგულება? (მუხლი 11 პ2; პ3)
ა +სამუშაოს მწარმოებელს და დამშვევს ან სამუშაო ადგილის მომზადებასა და დაშვებაზე ნებართვის გამცემ პირს.
- ბ. განწესის გამცემს.
- ც. მთავარ ინჟინერს.
- დ. მ/ც მენეჯერს.
108. მოქმედი წესებით ნებადართულია თუ არა განკარგულებით შესასრულებელი სამუშაოები შესრულდეს განწესით? (მუხლი 11 პ6) ა. არ არის ნებადართული.
- ბ. +ნებადართულია ყველა შემთხვევაში.
- გ. ნებადართულია გამონაკლის შემთხვევებში.
- დ. ნებადართულია მხოლოდ გადაუდებელი სამუშაოების შესრულებისას.
109. ქვემოთჩამოთვლილთაგან, წესებით რომელ სამუშაოთა შესრულებაა ნებადართული საჰაერო ხაზზე, განკარგულებით? (მუხლი 11 პ 11)
- ა. +სამუშაოები არადენგამტარ ნაწილებზე, რომლებიც არ მოითხოვს ძაბვის მოხსნას მათ შორის: 3 მეტრამდე სიმაღლეზე ასვლით (მიწის ზედაპირიდან მომუშავეს ფეხებამდე), ანძების დგარების 0,5 მეტრ სიღრმემდე თხრა და სხვა. ბ. ახლადაგებული საყრდენების მიერთება.
- ც. საყრდენების მონტაჟი და დემონტაჟი.
- დ. სადენების ფაზური შეკეთება.
110. ჩამოთვლილთაგან, რომელ სამუშაოთა შესრულება ეკრძალება საჰაერო ხაზზე ერთ მუშაკს ელექტროუსაფრთხოების 2 ჯგუფით? (მუხლი 11 პ 12) ა. საყრდენების არტახების შეღებვა.
- ბ. საჰაერო ხაზის დათვალიერება ადვილად გასავალ ადგილებში.
- ც. +საჰაერო ხაზის ტრასის გაწმენდა ხეებისაგან.
- დ. საყრდენებზე მუდმივი ნიშნების აღდგენა.
111. რა შემთხვევაში აქვს მუშაკს უსაფრთხოების III დამშვევის ჯგუფით, სამუშაოს მწარმოებლის უფლებით, იმუშაოს განკარგულებით ერთპიროვნულად 1000 ვოლტამდე ელექტროდანადგარებში?
(მუხლი 11 პ8)
- ა. +თუ ელექტროდანადგარი განთავსებულია ადამიანების ელექტრული დენით დაზიანების ნაკლებად საშიშ სათავსოში.
- ბ. წესებით ასეთი შემთხვევები არაა გათვალისწინებული.

ც. როდესაც ელექტროდანადგარი განთავსებულია ადამიანების ელექტრული დენით დაზიანების განსაკუთრებით საშიშ სათავსოებში.

მუხლი 12. მიმდინარე ექსპლუატაციისას შესასრულებელი სამუშაოების ორგანიზება

112. არსებული წესებით დასაშვებია თუ არა სამუშაოების შესრულება განწესის ან განკარგულების გაფორმების გარეშე, მიმდინარე ექსპლუატაციის პირობებში? (მუხლი 12 პ1)

- ა. მიმდინარე ექსპლუატაციისას მუშაობა დასაშვებია მხოლოდ 1000 ვოლტს ზემოთ ძაბვის ელექტროდანადგარებში;
- ბ. + მიმდინარე ექსპლუატაციის პირობებში მუშაობა დასაშვებია მხოლოდ 1000 ვოლტამდე ძაბვის ელექტროდანადგარებში; ც. აკრძალულია;
- დ. დასაშვებია მხოლოდ გამოცდილი პერსონალისთვის.

მუხლი 13. ბრიგადის შემადგენლობა

- 113. რომელი მინიმალური ელექტროუსაფრთხოების საკვალიფიკაციო ჯგუფი შეიძლება ჰქონდეს ორკაციანი ბრიგადის წევრს, სამუშაოს მწარმოებლის ჩათვლით? (მუხლი 13 პ2) ა. I ჯგუფი.
- ბ. +არანაკლებ III ჯგუფი.
- ც. არანაკლებ II ჯგუფი.
- დ. არანაკლებ IV ჯგუფი.

- 114. ბრიგადის ყოველ III ჯგუფის მქონე წევრზე შეიძლება მოდიოდეს II ჯგუფის მქონე ... (მუხლი 13 პ3.)
- ა. +1 წევრი.
- ბ. 2 წევრი.
- ც. 3 წევრი.
- დ. 4 წევრი.

- 115. ვის აქვს უფლება შეიტანოს ცვლილება ბრიგადის შემადგენლობაში? (მუხლი 13 პ5) ა. +განწესის გამცემს.
- ბ. დამშვევს.
- ც. სამუშაოს მწარმოებელს.
- დ. ზემდგომ ოპერატიულ პერსონალს.

- 116. რა შემთხვევაში უნდა გაიცეს განწესი ხელახლა? (მუხლი 13 პ6) ა. ბრიგადის შემადგენლობიდან მეოთხედის შეცვლისას.
- ბ. +სამუშაოს ხელმძღვანელის შეცვლისას.
- ც. ბრიგადის შემადგენლობის მესამედის შეცვლისას.
- დ. დამშვევბის შეცვლისას.

- 117. რა შემთხვევაში უნდა გაიცეს განწესი ხელახლა? (მუხლი 13 პ6) ა. +სამუშაოს მწარმოებლის შეცვლისას.
- ბ. განწესის გამცემის შეცვლისას.
- ც. ბრიგადის შემადგენლობიდან 2 წევრის შეცვლისას.

დ. მეთვალყურის შეცვლისას.

118. რა შემთხვევაში უნდა გაიცეს განწესი ხელახლა? (მუხლი 13 პ6)

ა. სამუშაო ადგილის მომზადებაზე და დაშვებაზე ნებართვის გამცემი პირის შეცვლისას.

ბ. +ბრიგადისშემადგენლობის ნახევარზე მეტით შეცვლისას. ც.

სამუშაო ადგილის მომამზადებლის შეცვლისას.

დ. დამშვების შეცვლისას.

მუხლი 14. ნებართვის გაცემა სამუშაო ადგილის მომზადებასა და დაშვებაზე

119. სამუშაო ადგილის მომზადება და დაშვება შეიძლება მხოლოდ ნებართვის მიღების შემდეგ, ვინ იძლევა ამ ნებართვას? (მუხლი 14 პ1)

ა. +ოპერატიული პერსონალის ან ამისათვის უფლებამოსილი პირი.

ბ. განწესის გამცემი პირი.

ც. ოპერატიულ-სარემონტო პერსონალი.

ბ. ტექნიკური ხელმძღვანელი

120. მოქმედი წესებით დასაშვებია თუ არა, სამუშაო ადგილის მომზადებასა და დაშვებზე ნებართვა გადაიცეს ტელეფონით? ა. + დასაშვებია.

ბ. დაუშვებელია.

ც. დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.

დ. დასაშვებია თუ არსებობს შესაბამისი წერილობითი დავალება

121. მიუთითეთ რამდენი განწესითაა ნებადართული ბრიგადების დაშვება? (მუხლი 14 პ3)

ა. +ერთი

ბ. სამი.

ც. ხუთი.

დ. ორი.

მუხლი 15. სამუშაო ადგილის მომზადება და ბრიგადის პირველადი დაშვება სამუშაოზე განწესით და განკარგულებით

122. მოქმედი წესებით ნებადართულია, თუ არა განწესით განსაზღვრული სამუშაო ადგილის მომზადებისას უსაფრთხოების ღონისძიებების შეცვლა? (მუხლი 15 პ1) ა. +არ არის ნებადართული.

ბ. ნებადართულია სამუშაოს მიმდინარეობისას ცვლილებების შემთხვევაში.

ც. ნებადართულია ზემდგომი ოპერატიული პერსონალის ნებართვით.

დ. ნებადართულია თუ არსებობს ზემდგომი ხელმძღვანელობის წერილობითი თანხმობა.

123. მიუთითეთ სამუშაო ადგილის მომზადების თავისებურებანი, სამუშაოს მწარმოებელის მიერ დამშვების მოვალეობის შეთავსებისას (მუხლი 15 პ2)
- ა. ამ შემთხვევაში სამუშაო ადგილის მომზადება მან უნდა შეასრულოს III ჯგუფის მქონე ბრიგადის წევრთან ერთად.
- ბ. არავითარ დამატებით მოთხოვნებს არსებული წესები არ ითვალისწინებს.
- ც. ამ შემთხვევაში სამუშაო ადგილის მომზადება მან უნდა შეასრულოს II ჯგუფის მქონე ბრიგადის წევრთან ერთად.
- გ. ამ შემთხვევაში სამუშაო ადგილის მომზადება შეიძლება ერთპიროვნულად შეასრულოს IV დაშვების ჯგუფის მქონე სამუშაოს მწარმოებელმა.
124. რომელი ჯგუფის მქონე ბრიგადის წევრთან ერთად შეუძლია სამუშაო ადგილის მომზადება სამუშაოს მწარმოებელს, რომელსაც შეთავსებული აქვს დამშვების მოვალეობა? (მუხლი 15 პ2.)
- ა. +III ჯგ.
- ბ. II ჯგ.
- ც. IV ჯგ.
- დ. V ჯგ.
125. როგორ უნდა დარწმუნდეს დამშვები, რომ სამუშაო ადგილი მომზადებულია? (მუხლი 15 პ3) ა.
- + სამუშაო ადგილის პირადი დათვალიერებით, ოპერატიულ ჟურნალში ჩანაწერებით, ოპერატიული სქემით, ოპერატიულ და ოპერატიულ-სარემონტო პერსონალის შეტყობინებით.
- ბ. მც მთავარი ინჟინრის შეტყობინებით.
- ც. განწესის გამცემის შეტყობინებით
- დ. განწესის „ცალკეული მითითებების“ სტრიქონში ჩანაწერებით.
126. ვალდებულია, თუ არა სამუშაოს ხელმძღვანელი, პირადად დაათვალიეროს სამუშაო ადგილი? (მუხლი 15 პ 4)
- ა. +დიახ, ყველა შემთხვევაში.
- ბ. დიახ, თუ ეს მითითებულია განწესში „ცალკეული მითითებები“.
- ც. არა, პირადად დათვალიერება არაა სავალდებულო.
- დ. მხოლოდ ზემდგომი ოპერატიული პირის ნებართვით
127. რა შემთხვევებში არ მოითხოვება ბრიგადების სამუშაოზე დაშვება უშუალოდ სამუშაო ადგილზე განკარგულებით? (მუხლი 15 პ5.)
- ა. +როდესაც არაა აუცილებელი სამუშაო ადგილის მომზადება, აგრეთვე სეგბ-ზე და სკეგბ-ზე მუშაობისას.
- ბ. მოქმედი წესებით არ არის გათვალისწინებული.
- ც. წესებით არაა განსაზღვრული
- დ. თუ არსებობს ზემდგომი ხელმძღვანელობის წერილობითი ნებართვა
128. მიუთითეთ ჩასატარებელი ოპერაციები, რომლებიც უნდა განახორციელოს დამშვებმა სამუშაო ადგილზე დაშვებისას ... (მუხლი 15 პ6;)

- ა. +შეამოწმოს ბრიგადის შემადგენლობის შესაბამისობა განწესში ან განკარგულებაში მითითებულთან, საკვალიფიკაციო მოწმობების მიხედვით. ბ. მოქმედი წესების შესაბამისად, შეავსოს განწესი.
- ც. ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი ზემდგომ ოპერატიულ პერსონალს.
- დ. 110 კვ ძაბვის ელექტროდანადგარებში დაარწმუნოს ბრიგადა ძაბვის არ არსებობაში დენგამტარ ნაწილებზე ხელის შეხებით .

129. განწესით მუშაობისას, ვინ უნდა ჩაუტაროს მიზნობრივი ინსტრუქტაჟი ბრიგადას სამუშაოს ტექნოლოგიური მხარის შესახებ? (მუხლი 15 პ11.)

- ა. +განწესისა და განკარგულების გამცემმა; სამუშაოს მწარმოებელმა (მეთვალყურემ); სამუშაოს ხელმძღვანელმა.
- ბ. ზემდგომმა ოპერატიულმა პირმა.
- ც. მ/ც მენეჯერმა.
- დ. მ/ც წამყვანმა ინჟინერმა.

130. განწესის რამდენ ეგზემპლარში ფორმდება ბრიგადის დაშვება სამუშაოზე, როდესაც სამუშაოს მწარმოებელი ითავსებს დამშვების მოვალეობებს ... (მუხლი 15 პ 15.) ა. +ერთ ეგზემპლარში.

- ბ. ორ ეგზემპლარში.
- ც. სამ ეგზემპლარში.
- დ. წესებით არაა განსაზღვრული.

მუხლი 16. ზედამხედველობა მუშაობის დროს

131. შეიძლება თუ არა არსებული წესებით მეთვალყურემ შეათავსოს მეთვალყურეობა სხვა სამუშაოს შესრულებას? (მუხლი 16 პ1) ა. შეიძლება.

- ბ. +აკრძალულია.
- ც. დასაშვებია მხოლოდ განწესის გამცემის ნებართვით.
- დ. დასაშვებია თუ არსებობს წერილობითი ნებართვა.

132. აუცილებლობის შემთხვევაში (სამუშაო ადგილიდან დროებით გასვლისას) ვის არ აქვს უფლება შეცვალოს სამუშაოთა მწარმოებელი (მეთვალყურე)? (მუხლი 16 პ2.) ა. სამუშაოს ხელმძღვანელს.

- ბ. + ბრიგადის წევრებს.
- ც. დამშვებს.
- დ. განწესის გაცემაზე უფლებამოსილ მუშაკს.

133. რა შემთხვევაშია დასაშვები სამუშაოთა მწარმოებლის სამუშაო ადგილიდან გასვლა, როდესაც ბრიგადის ერთი ან რამოდენიმე წევრი არანაკლებ III საკვალიფიკაციო ჯგუფით, აგრძელებს მუშაობას?

(მუხლი 16 პ4.)

- ა. +როდესაც სამუშაოები სრულდება 1000 ვოლტამდე ელექტროდანადგარებში განკარგულებით.
- ბ. აკრძალულია ყველა შემთხვევაში.
- ც. თუ არსებობს ზემდგომი ოპერატიული პირის ნებართვა.
- დ. მხოლოდ უშუალო ხელმძღვანელის თანხმობით.
134. დასაშვებია თუ არა, III ჯგუფის მქონე ბრიგადის ერთი ან რამდენიმე წევრის მიერ დროებით სამუშაო ადგილის დატოვება? (მუხლი 16 პ5.)
- ა. +ნებადართულია სამუშაოთა მწარმოებლის ნებართვით.
- ბ. არ დაიშვება.
- ც. თუ არსებობს ზემდგომი ოპერატიული პირის ნებართვა.
- დ. მხოლოდ ზემდგომი ხელმძღვანელობის თანხმობით.
135. 1000 ვოლტზე მეტი ძაბვის ელექტროდანადგარებში სამუშაო ადგილზე დარჩენილ ბრიგადის წევრთა რიცხვი სამუშაოთა მწარმოებლის ჩათვლით უნდა იყოს ... (მუხლი 16 პ5) ა.
- +არანაკლებ 2.
- ბ. არანაკლებ 3.
- ც. არანაკლებ 5.
- დ. არანაკლებ 4.
136. რა პირობებში შეუძლიათ II ჯგუფის მქონე ბრიგადის წევრებს გამანაწილებელი მოწყობილობიდან გასვლა და დაბრუნება? (მუხლი 16 პ5)
- ა. +მხოლოდ III ჯგუფის ბრიგადის წევრის თანხლებით.
- ბ. წესებით არაა განსაზღვრული.
- ც. II ჯგუფის ბრიგადის წევრის თანხლებით.
- დ. აკრძალულია.
137. რა პირობებში შეუძლიათ II ჯგუფის მქონე ბრიგადის წევრებს გამანაწილებელი მოწყობილობიდან გასვლა და დაბრუნება? (მუხლი 16 პ5)
- ა. +ელექტროდანადგარების ერთპიროვნული დათვალიერების უფლების მქონე პირის თანხლებით.
- ბ. წესებით არაა განსაზღვრული.
- ც. II ჯგუფის ბრიგადის წევრის თანხლებით.
- დ. აკრძალულია
138. შეუძლიათ თუ არა სამუშაოდან დროებით წასულ ბრიგადის წევრებს დაბრუნების შემდეგ მუშაობის დაწყება? (მუხლი 16 პ5)
- ა. +შეუძლიათ მხოლოდ სამუშაოთა მწარმოებლის ნებართვით.
- ბ. შეუძლიათ სამუშაოთა მწარმოებლის ნებართვის გარეშე.
- ც. არ შეუძლიათ.
- დ. წესებით არაა განსაზღვრული.

139. მიუთითეთ რა ღონისძიებები უნდა გატარდეს უტწ-ის დარღვევის შემთხვევაში, ან ისეთი სხვა გარემოებათა გამოვლენის დროს, რომელიც საფრთხეს შეუქმნის მომუშავეებს (მუხლი 16 პ6)
- ა. +სამუშაოების შესრულება წყდება, ბრიგადა გამოყავთ სამუშაო ადგილიდან, სამუშაოთა მწარმოებელს ჩამოერთმევა განწესი.
 - ბ. სამუშაოთა წარმოება გრძელდება დარღვევების აღმოფხვრისა და დამატებითი ინსტრუქტაჟის ჩატარების შემდეგ.
 - ც. სამუშაოთა წარმოება გრძელდება, განწესში შესაბამისი ჩანაწერის განხორციელების შემდეგ.
 - დ. სამუშაოების შესრულება წყდება მხოლოდ ზემდგომი ოპერატიული პირის თანხმობით.

მუხლი 17. სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანა

140. 1000 ვოლტს ზემოთ დანადგარებში, ელექტროსადგურებსა და ქვესადგურებში ვის აქვს უფლება ბრიგადა გადაიყვანოს ერთი სამუშაო ადგილიდან მეორეზე? (მუხლი 17 პ1)
- ა. +დამშვებს აგრეთვე სამუშაოს ხელმძღვანელს ან მწარმოებელს თუ განწესის გამცემმა ეს მათ დაავალა „ცალკეული მითითებების“ სტრიქონში ჩანაწერით. ბ. წესებით არაა განსაზღვრული.
 - ც. არანაკლებ IV ჯგუფის მქონე ბრიგადის წევრებს თუ დამშვები არ არის დანიშნული.
 - დ. ერთპიროვნული დათვალიერების უფლების მქონე პირს.

141. განწესის რამდენ ეგზემპლარში ფორმდება სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანა განწესის მე-3 ცხრილში, დამშვების მიერ ოპერატიულ ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალის შემადგენლობიდან?

(მუხლი 17 პ2)

- ა. + განწესის ორივე ეგზემპლარში.
- ბ. განწესის მხოლოდ ერთ ეგზემპლარში.
- ც. წესებით არაა განსაზღვრული დ. განწესის 3 ეგზემპლარში.

მუხლი 18. შესვენების გაფორმება და სამუშაოზე განმეორებით დაშვება

142. სამუშაო დღის განმავლობაში შესვენების დროს, ვისთან უნდა ინახებოდეს სამუშაოს მწარმოებლის, განწესის ეგზემპლარი? (მუხლი 18 პ1) ა. +სამუშაოს მწარმოებელთან.

- ბ. დამშვებთან.
- ც. განწესის გამცემთან.
- დ. ოპერატიული პერსონალთან.

143. ვის აქვს უფლება სამუშაო დღის განმავლობაში შესვენების შემდეგ დაუშვას ბრიგადა სამუშაოდ?

(მ 18 პ1)

- ა. +სამუშაოს მწარმოებელს (მეთვალყურეს) განწესში გაუფორმებლად.
- ბ. დამშვებს.
- ც. განწესის გამცემს.
- დ. IV ჯგუფის მქონე ბრიგადის წევრებს.

144. აქვთ თუ არა ბრიგადის წევრებს უფლება, შესვენების შემდეგ სამუშაო ადგილს დაუბრუნდნენ სამუშაოს მწარმოებლის (მეთვალყურის) გარეშე? (მუხლი 18 პ1)

- ა. დიახ.
- ბ. +არა.
- ც. მხოლოდ IV ჯგუფის მქონე ბრიგადის წევრებს.
- დ. მხოლოდ III ჯგუფის მქონე ბრიგადის წევრებს IV ჯგუფის მქონე ბრიგადის წევრების

თანხლებით.

145. ელექტროდანადგარებში ადგილობრივი ოპერატიული პერსონალით ვის უნდა ჩააბაროს სამუშაოს მწარმოებელმა განწესი სამუშაო დღის დამთავრებასთან დაკავშირებულ შესვენების დროს?

(მუხლი 18 პ2)

- ა. +დამშვებს, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში განწესი უნდა დატოვოს მოქმედი განწესების საქალაქო დეპო.
- ბ. რჩება სამუშაოს მწარმოებელს.
- ც. აბარებს ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს.
- დ. განწესის გამცემს.

146. რა შემთხვევაში აქვს უფლება სამუშაოს მწარმოებელს დაიტოვოს განწესი სამუშაო დღის დამთავრებასთან დაკავშირებულ შესვენების დროს? (მუხლი 18 პ2)

- ა. +ელექტროდანადგარებში მუშაობისას ადგილობრივი ოპერატიული პერსონალის გარეშე.
- ბ. წესებით აკრძალულია.
- ც. ელექტროდანადგარებში მუშაობისას, ადგილობრივი ოპერატიული პერსონალით.
- დ. მხოლოდ განწესის გამცემის თანხმობით.

147. ვის აქვს უფლება მომდევნო დღეს მომზადებულ სამუშაო ადგილზე განახორციელოს დაშვება? (მუხლი 18 პ3)

- ა. +დამშვებს, აგრეთვე სამუშაოთა ხელმძღვანელს დამშვების ნებართვით.
- ბ. წესებით არაა რეგლამენტირებული.
- ც. ბრიგადის ნებისმიერ IV უსაფრთხოების ჯგუფის მქონე წევრს.
- დ. სამუშაოს მწარმოებელს განწესის "ცალკეული მითითებების" სტრიქონში ჩანაწერის გარეშე.

148. ვის აქვს უფლება მომდევნო დღეს მომზადებულ სამუშაო ადგილზე განახორციელოს დაშვება? (მუხლი 18 პ3)

- ა. +სამუშაოს მწარმოებელს (მეთვალყურეს) დამშვების ნებართვით, თუ მას ეს ევალება განწესის "ცალკეული მითითებების" სტრიქონში ჩანაწერით. ბ. წესებით არაა რეგლამენტირებული.
- ც. ბრიგადის ნებისმიერ IV უსაფრთხოების ჯგუფის მქონე წევრს.
- დ. ზემდგომ ოპერატიულ პირს.

149. განწესის რომელ ეგზემპლარში ფორმდება განმეორებითი დაშვება განხორციელებული სამუშაოთა ხელმძღვანელის ან სამუშაოთა მწარმოებელის (მეთვალყურის) მიერ? (მუხლი 18 პ4) ა. +სამუშაოთა მწარმოებელის (მეთვალყურის) ეგზემპლარში.

- ბ. ორივე ეგზემპლარში.
- ც. მხოლოდ დამშვების ეგზემპლარში.
- დ. არაა წესებით განსაზღვრული.

150. რაში უნდა დარწმუნდეს სამუშაოთა მწარმოებელი (მეთვალყურე) მეორე დღეს განწესით მუშაობის განახლებისას? (მუხლი 18 პ4)

- ა. +დადებული დამიწებების საიმედოებაში, დატოვებული პლაკატების, ღობურების, ალმების სიმრთელესა და ხელუხლებლობაში.
- ბ. წესებით არ არის განსაზღვრული.
- ც. უნდა დარწმუნდეს არის თუ არა დაწერილი ახალი განწესი.
- დ. დამცავი საშუალებების არსებობაში.

მუხლი 19. სამუშაოს დამთავრება, სამუშაო ადგილის მიღება-ჩაბარება, განწესის, განკარგულების დახურვა

151. მიუთითეთ სამუშაოთა მწარმოებლის მიერ, განწესით სამუშაოს მთლიანად დამთავრების შემდეგ განსახორციელებელი ღონისძიებები (მუხლი 19 პ1)

- ა. + გამოიყვანოს ბრიგადა სამუშაო ადგილიდან; მოხსნას ბრიგადის მიერ დაყენებული დროებითი ღობურები; ჩაკეტოს ბოქლომით ელექტროდანადგარის კარები; გააფორმოს განწესში სამუშაოს მთლიანი დამთავრება ხელის მოწერით.
- ბ. გააფორმოს განწეს-განკარგულების ჟურნალში სამუშაოს მთლიანი დამთავრება.
- ც. გამოიყვანოს ბრიგადა და გააფორმოს განწეს-განკარგულების ჟურნალში სამუშაოს მთლიანი დამთავრება.
- დ. აცნობებს ზემდგომ ოპერატიულ პირს სამუშაოს მთლიანი დამთავრების შესახებ.

152. ვის უნდა შეატყობინოს სამუშაოთა მწარმოებელმა განწესით შესასრულებელი სამუშაოს მთლიანი დამთავრების შესახებ? (მუხლი 19 პ2)

- ა. +დამშვებს, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში განწესის გამცემს.
- ბ. ზემდგომ ოპერატიულ პერსონალს.
- ც. მ/ც მთავარ ინჟინერს.
- დ. მ/ც მენეჯერს.

153. თუ სამუშაოს მთლიანად დამთავრების შემდეგ განწესის გადაცემა გაძნელებულია, მაშინ დამშვების ნებართვით სამუშაოთა მწარმოებელს (მეთვალყურეს) შეუძლია დაიტოვოს განწესი თვითონ, იმ პირობით რომ (მუხლი 19 პ 2)

- ა. +არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა უნდა ჩააბაროს განწესი.
- ბ. არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა უნდა ჩააბაროს განწესი.
- ც. არაუგვიანეს 30 სამუშაო დღისა უნდა ჩააბაროს განწესი.
- დ. 4 სამუშაო ცვლისა ჩააბაროს განწესი.

154. რომელ ჟურნალებში უნდა გაფორმდეს განწესითა და განკარგულებით სამუშაოების დამთავრება დამშვების მიერ სამუშაო ადგილის დათვალიერების შემდეგ? (მუხლი 19 პ4)

- ა. +განწესითა და განკარგულებით შესასრულებელი სამუშაოების აღრიცხვის ჟურნალში და ოპერატიულ ჟურნალში.

- ბ. მომხმარებელთა განაცხადების რეგისტრაციის ჟურნალში.
- ც. შემოვლა-დათვალიერებისა და დეფექტების აღრიცხვის ჟურნალში.
- დ. დაცვის საშუალებების შენახვისა და აღრიცხვის ჟურნალში.

მუხლი 20. ელექტროდანადგარის ჩართვა სამუშაოს მთლიანად დამთავრების შემდეგ

155. რა პირობების შესრულების შემდეგაა შესაძლებელი ელექტროდანადგარის ჩართვა სამუშაოს მთლიანად დამთავრების შემდეგ? (მუხლი 20 პ 1).

ა. + სამუშაო ადგილის მომზადებასა და დაშვების ნებართვის გამცემის ან მისი შემცვლელი პირის თანხმობის მიღების შემდეგ.

ბ. მას შემდეგ, რაც დაამთავრებს სამუშაოს და ჩაკეტავს ბოქლომით ელექტროდანადგარის კარებს.

ც. მას შემდეგ, რაც დაამთავრებს სამუშაოს და მოხსნის ბრიგადის მიერ დაყენებულ დროებით ღობურებს.

დ. შეიძლება ჩაირთოს ყოველგვარი პირობების გარეშე.

156. სამუშაოს მთლიანად დამთავრების შემდეგ, ელექტროდანადგარის მუშაობაში ჩართვაზე ნებართვა გაიცემა ? (მუხლი 20 პ 1).

ა. + მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება შეტყობინება სამუშაოთა ყველა მწარმოებლისა და დამშვებისაგან სამუშაოს დამთავრებისა და ელექტროდანადგარის ჩართვისათვის მზადყოფნის შესახებ.

ბ. მას შემდეგ, რაც დაამთავრებს სამუშაოს და ჩაკეტავს ბოქლომით ელექტროდანადგარის კარებს.

ც. მას შემდეგ, რაც დაამთავრებს სამუშაოს და მოხსნის ბრიგადის მიერ დაყენებულ დროებით ღობურებს.

დ. მას შემდეგ რაც ბრიგადა გამოყვანილია სამუშაო ადგილიდან.

157. მიუთითეთ მოქმედი წესების მოთხოვნები, რომელთა შესრულებისას დამშვებს ოპერატიულსარემონტო პერსონალიდან უფლება აქვს ჩართოს ელექტროდანადგარი, სამუშაო ადგილის მომზადებასა და დაშვებაზე ნებართვის გამცემ პირთან შეთანხმების გარეშე? (მუხლი 20 პ 3)

ა. +თუ მას მიცემული აქვს ამის უფლება განწესის სტრიქონში „ცალკეული მითითებანი“ ჩანაწერით.

ბ. წესებით არაა გათვალისწინებული.

ც. თუ არსებობს ზემდგომი ოპერატიული პირის ნებართვა.

დ. მხოლოდ უშუალო ხელმძღვანელის თანხმობით.

მუხლი 21. ტექნიკური ღონისძიებები

158. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი ღონისძიება მიეკუთვნება ტექნიკურ ღონისძიებას? (მუხლი

21 პ ა.)

- ა. + ჩატარდეს აუცილებელი გამორთვები;
- ბ. განწესის ან განკარგულების გაცემა;
- გ. ზედამხედველობა მუშაობის დროს;
- დ. სამუშაო ადგილის მომზადებისა და დაშვების ნებართვის გაცემა.

159. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი ღონისძიება მიეკუთვნება ტექნიკურ ღონისძიებას? (მუხლი 21 პ ბ.)

- ა. სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებაზე პასუხისმგებელ პირთა დანიშვნა
- ბ. ნებართვის გაცემა სამუშაო ადგილის მომზადებასა და დაშვებაზე
- გ. + მიღებულ იქნას ზომები, რომელიც აღკვეთს საკომუტაციო აპარატურის შეცდომით ან თავისთავად ჩართვას
- დ. განწესის ან განკარგულების გაცემა.

160. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი ღონისძიება მიეკუთვნება ტექნიკურ ღონისძიებას? (მუხლი 21 პ გ.)

- ა. სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანა;
- ბ. ნებართვის გაცემა სამუშაო ადგილის მომზადებასა და დაშვებაზე;
- გ. +საკომუტაციო აპარატურის ხელით ამძრავებსა და დისტანციური მართვის გასაღებებზე გამოიკიდოს ამკრძალავი პლაკატები;
- დ. ზედამხედველობა მუშაობის დროს.

161. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი ღონისძიება მიეკუთვნება ტექნიკურ ღონისძიებას? (მუხლი 21 პ დ.)

- ა. +შემოწმდეს ძაბვის არარსებობა დასამიწებელ დენგამტარ ნაწილებზე.
- ბ. სამუშაო ადგილის მომზადება და დაშვება
- გ. მუშაობის დროს შესვენებისა და სამუშაოს დამთავრების გაფორმება
- დ. სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანა.

162. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი ღონისძიება მიეკუთვნება ტექნიკურ ღონისძიებას? (მუხლი 21 პ ე.)

- ა. + მოეწყოს დამიწება, (ჩაირთოს დამამიწებელი დანები, ხოლო სადაც სტაციონალური დამიწება არ არის დაყენდეს გადასატანი დამიწებები);
- ბ. სამუშაო ადგილის მომზადება და დაშვება;
- გ. ზედამხედველობა მუშაობის მიმდინარეობის დროს.
- დ. სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანა.

163. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი ღონისძიება მიეკუთვნება ტექნიკურ ღონისძიებას? (მუხლი 21 პ ვ.)

- ა. + გამოიკიდოს მიმთითებელი პლაკატი „დამიწებულია“.
- ბ. განწესის გაცემა;
- გ. ზედამხედველობა მუშაობის მიმდინარეობის დროს.
- დ. მუშაობის დროს შესვენებისა და სამუშაოს დამთავრების გაფორმება.

164. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი ღონისძიება მიეკუთვნება ტექნიკურ ღონისძიებას? (მუხლი 21 პ 3.)

- ა. ნებართვის გაცემა სამუშაო ადგილის მომზადებასა და დაშვებაზე
- ბ. განკარგულების გაცემა
- გ. + აუცილებლობის შემთხვევაში შემოიღობოს სამუშაო ადგილი ან ძაბვის ქვეშ დარჩენილი დენგამტარი ნაწილები და ლობურები;
- დ. ზედამხედველობა მუშაობის მიმდინარეობის დროს.

მუხლი 22. გამორთვის განხორციელების წესები

165. სამუშაო ადგილის მომზადებისას უნდა გამოირთოს: (მუხლი 22 პ 1)

- ა. + დენგამტარი ნაწილები, რომლებზეც იწარმოებს მუშაობა; შემოუღობავი დენგამტარი ნაწილები, რომლებთანაც შესაძლებელია ადამიანთა, მექანიზმებისა და ტვირთამწე მანქანების მიახლოება, დასაშვებ მანძილზე ახლოს.
- ბ. სატრანსფორმატორო ქვესადგური, რომელზეც იწარმოებს მუშაობა.
- გ. შემოღობილი დენგამტარი ნაწილები.
- დ. გამორთვა არაა სავალდებულო.

166. რომელი ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები უზრუნველყოფს წრედის ხილულ წყვეტას? (მუხლი 22 პ 2)

- ა. + წრედის ხილულ წყვეტას უზრუნველყოფს გამთიშველების, განმამხოლოებლების და დატვირთვის ამომრთველების გამორთვა, მცველების მოიხსნა, სალტეებისა და სადენების ჩახსნა.
- ბ. დატვირთვის ამომრთველების გამორთვა, რომელთა ავტომატური ჩართვა ხორციელდება თვით აპარატზე დაყანებული ზამზარებით. გ. სტაციონალური დამიწების მოხსნა.
- დ. გადასატანი დამიწების დადება.

167. რა მოქმედებებია განსახორციელებელი სამუშაო ადგილის მომზადებისას ამომრთველების, გამთიშველების და ხელით მართვის მქონე დატვირთვის ამომრთველების გამორთვის შემდეგ? (მუხლი

22 პ 3)

- ა. + აუცილებელია ვიზუალური დათვალიერებით დარწმუნება იმაში, რომ აღნიშნული აპარატები ნამდვილად გამორთულია. დარწმუნება იმაში, რომ მაშუნტირებელი ზღუდარები არ არსებობენ.
- ბ. დამიწდეს სამუშაო ადგილი.
- გ. საკმარისია მოქმედებების განხორციელება ვიზუალური დათვალიერების გარეშე.
- დ. წესებით არაა რეგლამენტირებული.

168. მოქმედი წესებით, მოითხოვება თუ არა ამკრძალავი პლაკატების გამოკიდება სამუშაო ადგილის მოსამზადებლად გამორთულ 1000 ვოლტამდე ელექტროდანადგარებში სამუშაოების ჩასატარებლად?

(მუხლი 23 პ 2)

- ა. +მოითხოვება ყველა შემთხვევაში.
- ბ. არ მოითხოვება.
- ც. მოითხოვება ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე.
- დ. მოითხოვება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში.

169. მოქმედი წესებით ნებადართულია სამუშაო ადგილის მომზადებისათვის სალტეების ჩახსნა, კაბელებისა და გამტარების მოხსნა, ოპერატიული პერსონალის მეთვალყურეობით, შეასრულოს მუშაკმა სარემონტო პერსონალის შემადგენლობიდან უსაფრთხოების არანაკლებ . . (მუხლი 23 პ 3) ა. +III ჯგუფით.

- ბ. IV ჯგუფით.
- ც. V ჯგუფით.
- დ. VI ჯგუფით.

170. დათვალიერებისათვის მიუწვდომელი კონტაქტების მქონე 1000 ვოლტამდე ძაბვის საკომუტაციო აპარატების გამორთული მდგომარეობის შემოწმება ხორციელდება ... (მუხლი 23 პ 4)

- ა. + მათ მომჭერებზე ან გამავალ სალტეებზე, სადენებზე ან ამ საკომუტაციო აპარატებიდან კვების მიმღები მოწყობილობების მომჭერებზე ძაბვის არ არსებობის შემოწმებით. ბ. ვიზუალური დათვალიერებით.
- ც. ხელის შეხებით.
- დ. საკონტროლო ნათურით.

მუხლი 24. ამკრძალავი პლაკატების გამოკიდება

171. რომელი პლაკატები უნდა გამოიკიდოს იმ გამთიშველების, მაცალკეებლებისა და დატვირთვის ამომრთველების ამძრავებზე, რომელთა ჩართვითაც შესაძლებელია სამუშაო ადგილზე ძაბვის მიწოდება? (მუხლი 24 პ 1)

- ა. +არ ჩართოთ! მუშაობს ხალხი.
- ბ. სდექ! ძაბვაა.
- ც. არ გააღოთ! მუშაობს ხალხი.
- დ. არ ახვიდე! მოგკლავს.

172. დამოკიდებულია თუ არა, საჰაერო და საკაბელო ხაზის ამძრავებზე გამოკიდებული პლაკატების რაოდენობა, ხაზზე მომუშავე ბრიგადების რაოდენობაზე? (მუხლი 24 პ 2)

- ა. +მომუშავე ბრიგადების რაოდენობის მიუხედავად უნდა გამოიკიდოს ერთი პლაკატი.
- ბ. პლაკატების რაოდენობა შეესაბამება მომუშავე ბრიგადების რაოდენობას.
- ც. პლაკატების რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ სამი.
- დ. პლაკატების გამოკიდება საჭირო არაა.

მუხლი 25. ძაბვის არარსებობის შემოწმება

173. მიუთითეთ დამცავი საშუალებები, რომელთა გამოყენებაც აუცილებელია 1000 ვოლტს ზემოთ დანადგარებში ძაბვის მაჩვენებლით მუშაობისას. (მუხლი 25 კ 2) ა. +დიელექტრიკული ხელთათმანი.
ბ. დამცავი საშუალებების გამოყენება არ არის საჭირო.
ც. დიელექტრიკული ხალიჩა.
დ. დამცავი ნიღაბი.

174. ვის აქვს უფლება შეამოწმოს ძაბვის არარსებობა სეგხ-ზე? (მუხლი 25 კ 2)
ა. IV ჯგუფის მქონე პირმა ოპერატიულ ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალიდან.
ბ. + სეგხ-ზე ძაბვის არარსებობა უნდა შეამოწმოს ორმა პირმა. 1000 ვოლტზე მაღალი ძაბვის სეგხზე უსაფრთხოების IV და III ჯგუფის მქონე მომუშავეებმა, 1000 ვოლტამდე სეგხ-ზე - III ჯგუფის მქონე მომუშავეებმა.
ც. V ჯგუფის მქონე პირმა ოპერატიულ ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალიდან.
დ. IV ჯგუფის მქონე ოპერატიულ პერსონალს.

175. ვის აქვს უფლება შეამოწმოს გმ-ში ძაბვის არარსებობა 1000 ვოლტზე მაღალი ძაბვის ელექტროდანადგარებში? (მუხლი 25 კ 2)
ა. +IV ჯგუფის მქონე ერთ მუშაკს, ოპერატიული ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალიდან.
ბ. III ჯგუფის მქონე ერთ მუშაკს ოპერატიული პერსონალიდან.
ც. III ჯგუფის მქონე ორ მუშაკს, ოპერატიული ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალიდან.
დ. IV ჯგუფის მქონე ერთ მუშაკს, სარემონტო პერსონალიდან.

176. ვის აქვს უფლება შეამოწმოს გმ-ში ძაბვის არარსებობა 1000 ვოლტამდე ძაბვის ელექტროდანადგარებში? (მუხლი 25 კ 2)
ა. +III ჯგუფის მქონე ერთ მუშაკს, ოპერატიული ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალიდან.
ბ. III ჯგუფის მქონე მხოლოდ ორ მუშაკს.
ც. II ჯგუფის მქონე მხოლოდ ორ მუშაკს.
დ. III ჯგუფის მქონე ერთ მუშაკს, სარემონტო პერსონალიდან.

177. როგორ უნდა შემოწმდეს ძაბვის არარსებობა სადენების ჰორიზონტალური დაკიდების დროს? (მუხლი 25 კ 6)
ა. +შემოწმება უნდა დაიწყოს უახლოესი გამტარიდან (სადენიდან).
ბ. შემოწმება უნდა დაიწყოს უკიდურესად მოშორებული გამტარიდან (სადენიდან).
ც. შემოწმება უნდა დაიწყოს შუა გამტარიდან (სადენიდან).
დ. წესებით არაა განსაზღვრული.

178. როგორ უნდა შემოწმდეს ძაბვის არარსებობა სადენების სხვადასხვა სიმაღლეზე დაკიდების დროს? (მუხლი 25 პ 6)

- ა. +შემოწმება უნდა დაიწყოს ქვემოდან ზემოთ.
- ბ. შემოწმება უნდა დაიწყოს ზემოდან ქვემოთ.
- ც. არა აქვს მნიშვნელობა.
- დ. წესებით არაა განსაზღვრული

179. დასაშვებია თუ არა დამიწებულ ნეიტრალიან 1000 ვოლტამდე ელექტროდანადგარებში, წინასწარ შემოწმებული ვოლტმეტრის გამოყენება ძაბვის არარსებობის შესამოწმებლად? (მუხლი 25 პ 7) ა. +დასაშვებია.

- ბ. არაა დასაშვები.
- ც. დასაშვებია, მხოლოდ მთავარი ინჟინრის ნებართვით.
- დ. დასაშვებია მხოლოდ საკონტროლო ნათურებით სარგებლობა.

180. რა საშუალებებითაა დასაშვები დამიწებულ ნეიტრალიან 1000 ვოლტამდე ელექტროდანადგარებში ძაბვის არარსებობის შემოწმება? (მუხლი 25 პ 7)

- ა. +ორპოლუსა ძაბვის მაჩვენებლით, აგრეთვე წინასწარ შემოწმებული ვოლტმეტრით.
- ბ. „საკონტროლო“ ნათურით.
- ც. ვატმეტრით.
- დ. ამპერმეტრით.

181. შეიძლება თუ არა დასკვნის გაკეთება აპარატის გამორთული მდგომარეობისა და ძაბვის არარსებობის შესახებ, მუდმივად ჩართული ვოლტმეტრის ჩვენების მიხედვით? (მუხლი 25 პ 8) ა. +არ შეიძლება.

- ბ. შეიძლება.
- ც. მხოლოდ ვიზუალური დათვალიერებით დადგენის შემდეგ.
- დ. შეიძლება, როდესაც ვოლტმეტრი დამოწმებულია სახსტანდარტის მიერ.

მუხლი 26. დამიწების დაყენება

182. დენგამტარ ნაწილებზე დამიწება უნდა დაყენდეს (მ 26 პ 1) ა. ძაბვის არარსებობის შემოწმებამდე.

- ბ. +ძაბვის არარსებობის შემოწმებისთანავე.
- ც. ბრიგადისათვის მიზნობრივი ინსტრუქტაჟის ჩატარების წინ.
- გ. განწეს-განკარგულების ჟურნალში სამუშაოების რეგისტრაციის შემდეგ.

183. მიუთითეთ ოპერაციათა შესრულების თანმიმდევრობა დენგამტარ ნაწილებზე გადასატანი დამიწების დადებისას. (მუხლი 26 პ 2)

- ა. +გადასატანი დამიწება ჯერ უნდა მიუერთდეს დამამიწებელ მოწყობილობას, ხოლო შემდეგ, ძაბვის არარსებობის შემოწმებისთანავე დენგამტარ ნაწილს.

ბ. ძაბვის არარსებობის შემოწმებისთანავე, გადასატანი დამიწება ჯერ უნდა მიუერთდეს დენგამტარ ნაწილს, ხოლო შემდეგ დამამიწებელ მოწყობილობას.

ც. ოპერაციათა შესრულების თანმიმდევრობას განსაზღვრავს სამუშაოს მწარმოებელი.

დ. შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი თანმიმდევრობით.

184. მიუთითეთ ინსტრუმენტები და დაცვის საშუალებები, რომლებიც უნდა გამოიყენოს პერსონალმა 1000 ვ ზემოთ ელექტროდანადგარებში გადასატანი დამიწების დადებისას. (მუხლი 26 პ 3) ა. არაა საჭირო დამცავი საშუალებები.

ბ. +დიელექტრიკული ხელთათმანები და მაიზოლირებელი შტანგა.

ც. იზოლირებულსახელურიანი ინსტრუმენტი.

დ. დიელექტრიკული ფეხსაცმელი და ხალიჩა.

მუხლი 27. დამიწების დაყენება გამანაწილებელ მოწყობილობაში

185. მიუთითეთ წესების მოთხოვნები, რომელთა შესრულება აუცილებელია 1000 ვ ზემოთ ელექტროდანადგარებში დამიწებების დადებისას. (მუხლი 27 პ 1)

ა. +დამიწება უნდა დაედოს სამუშაოთა შესასრულებლად გამორთული უბნის ყველა ფაზის დენგამტარ ნაწილებს ყველა მხრიდან, საიდანაც შესაძლებელია ძაბვის მოწოდება, გარდა სამუშაოს ჩასატარებლად გამორთული შემკრები სალტეებისა, რომლებზეც საკმარისია ერთი დამიწების დაყენება.

ბ. დამიწება უნდა დაედოს სამუშაოთა შესასრულებლად გამორთული უბნის დენგამტარ ნაწილებს ერთი მხრიდან.

ც. საკმარისია ორი დამიწების დაყენება.

დ. საკმარისია სამი დამიწების დაყენება.

186. რა შემთხვევებში მოითხოვება უშუალოდ სამუშაო ადგილზე დამატებითი დამიწების დაყენება?

(მუხლი 27 პ 2)

ა. გამორთულ დენგამტარ ნაწილებზე მუშაობისას ღრუბლიან ამინდში.

ბ. +როდესაც სამუშაოებისათვის გამორთული დენგამტარი ნაწილები შეიძლება აღმოჩნდეს ინდუცირებული ძაბვის ქვეშ.

ც. წესებით არაა გათვალისწინებული.

დ. როდესაც სამუშაო ადგილიდან არ ჩანს დენგამტარი ნაწილის წყვეტის ადგილი.

187. რომელ ადგილებში უნდა მიუერთდეს გადასატანი დამიწება დენგამტარ ნაწილებს? (მუხლი 27 პ 3)

ა. + სადგამისაგან გასუფთავებულ ადგილებში.

ბ. დამაგრებისათვის ხელსაყრელ ადგილებში.

ც. განწესის გამცემის მიერ მითითებულ ადგილებში.

დ. ხილული წყვეტის ადგილებში.

188. დასაშვებია თუ არა სამუშაო ადგილის მომზადების დროს დაყენებული დამიწების დროებით მოხსნა? (მუხლი 27 ვ 5)

ა. მხოლოდ ზემდგომი ოპერატიული პირის ნებართვით.

ბ. დაუშვებელია.

ც. +დასაშვებია, თუ ამას მოითხოვს შესასრულებელი სამუშაოს ხასიათი (იზოლაციის წინააღმდეგობის გაზომვა და ა.შ.).

დ. დაყენებული დამიწების დროებით მოხსნის საჭიროებას განსაზღვრავს საწარმოს ხელმძღვანელი.

189. ვინ ახორციელებს დამიწების დროებით მოხსნას და მის ხელმეორედ დადებას? (მუხლი 27 ვ 5)

ა. + ოპერატიული, ოპერატიულ – სარემონტო პერსონალი ან განწესის გამცემის მითითებით სამუშაოს მწარმოებელი.

ბ. Vჯგუფის მქონე სარემონტო პერსონალი.

ც. II საკვალიფიკაციო ჯგუფის მქონე პირი სარემონტო პერსონალიდან.

დ. IVჯგუფის მქონე სარემონტო პერსონალი.

190. 1000 ვოლტამდე ელექტროდანადგარებში, წესებით დამიწებების მოხსნა-დაყენების ოპერაციების შესრულების ულება ეძლევა ერთ მუშაკს ოპერატიული ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალიდან, ელექტროუსაფრთხოების არანაკლებ. . . (მუხლი 27 ვ 7) ა.

II ჯგუფით.

ბ. + III ჯგუფით.

ც. IV ჯგუფით.

დ. V ჯგუფით.

191. 1000 ვოლტს ზემო ელექტროდანადგარებში, წესებით დამიწებების მოხსნა-დაყენების ოპერაციების შესრულების ულება ეძლევა . . . (მუხლი 27 ვ 7)

ბ. + ორ მუშაკს რომელთაგან ერთს (ოპერატიული ან ოპერატიულ – სარემონტო პერსონალის შემადგენლობიდან) უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების IV ჯგუფი, ხოლო მეორეს - III ჯგუფი.

ც. ერთ მუშაკს სარემონტო პერსონალის შემადგენლობიდან უსაფრთხოების IV ჯგუფით.

დ. ორ მუშაკს ელექტროუსაფრთხოების III საკვალიფიკაციო ჯგუფით.

მუხლი 28. სეგბ-ზე დამიწების დაყენება

192. წესებით მოითხოვება თუ არა ყველა ფაზის გამტარების (ყველა სადენის) დამიწება ბრიგადის სამუშაო ადგილზე? (მუხლი 28 ვ 2) ა. +მოითხოვება.

ბ. არ მოითხოვება.

ც. დამიწების დადების საჭიროებას განსაზღვრავს სამუშაოს მწარმოებელი.

დ. უნდა იყოს განსაზღვრული განწესის ბლანკის „ცალკეულ მითითებებში“

193. რომელ ადგილებში უნდა დაყენდეს დამიწებები საანკერო მალში გამტარების მონტაჟისას, აგრეთვე საჰაერო ხაზის დამონტაჟებული უბნის ანკერებზე მარყუჟების შეერთების შემდეგ? (მუხლი 28 პ 3)

ა. მხოლოდ საწყის ანკერულ საყრდენზე.

ბ. +საწყის ანკერულ საყრდენზე და ბოლო ანკერული ანძის წინ უახლოეს შუალედურ საყრდენზე.

ც. მხოლოდ საბოლოო ანკერულ საყრდენზე.

194. წესებით ნებადართულია ერთჯაჭვიან საჰაერო ხაზზე დამიწების დაყენება, იმ უბნის ორივე მხარეს, რომელზეც მუშაობს ბრიგადა, იმ პირობით, რომ დამიწებებს შორის მანძილი არ აღემატება

(მუხლი 28 პ 6)

ა. 1 კმ-ს.

ბ. + 2კმ-ს.

გ. 3 კმ-ს.

დ. 20 კმ-ს

195. სად უნდა დაედოს გადასატანი დამიწება ერთჯაჭვიან საჰაერო ხაზზე, სამუშაო ადგილზე? (მუხლი 28 პ 6)

ა. +იმ საყრდენზე, რომელზედაც მიმდინარეობს მუშაობა, ან მეზობელ ანძაზე

ბ. მოცემული საჰაერო ხაზის საწყის საყრდენზე.

ც. მოცემული საჰაერო ხაზის საწყის და საბოლოო საყრდენებზე.

196. წესებით ნებადართულია გადასატანი დამიწება მიუერთდეს გრუნტში ვერტიკალურად არანაკლებ . . . მეტრზე ჩასმულ დამამიწებელს. (მუხლი 28 პ 8) ა. +0.5 მ.

ბ. 1.2 მ.

ც. 3.5 მ.

დ. 1 მ.

197. წესების რომელ მოთხოვნათა შესრულებისას დაიშვება 1000 ვოლტამდე დამიწებულ ნეიტრალიან ელექტროდანადგარებში გადასატანი დამიწების ნულოვან გამტართან მიერთება? (მუხლი

28 პ 8)

ა. +თუ არსებობს ნულოვანი გამტარის განმეორებითი დამიწება.

ბ. წესებით აკრძალულია.

ც. დასაშვებია ყველა შემთხვევაში.

დ.

დასაშვებია სამუშაოს ხელმძღვანელის ნებართვით.

198. მოითხოვს თუ არა წესები საყრდენებზე დამიწების დადებას, 1000 ვოლტამდე საჰაერო ხაზზე საყრდენიდან ან ტელესკოპური კოშკურიდან მაიზოლირებელი რგოლის გარეშე სამუშაოების წარმოებისას? (მუხლი 28 პ 9)

- ა. +მოითხოვს.
- ბ. არ მოითხოვს.
- ც. მოითხოვს, მხოლოდ კავშირგაბმულობის სადენების არსებობის შემთხვევაში.
- დ. მოითხოვს, მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი სადენების არსებობის შემთხვევაში.

199. წესებით, ოპერატიულ ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალს უფლება აქვს ერთპიროვნულად გამორთოს დამამიწებელი დანები, თუ მათი ელექტროუსაფრთხოების ჯგუფია არანაკლებ ... (მუხლი 28 პ 10)

- ა. + III.
- ბ. IV.
- ც. V.
- დ. VI.

200. შესაკეთებლად გამორთულ 1000 ვ-ზე მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემ ხაზზე დამიწების დაყენების უფლება აქვს ... ? (მუხლი 28 პ 10)

- ა. ერთ მუშაკს ოპერატიული ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალიდან, ელექტროუსაფრთხოების არანაკლებ IV დაშვების ჯგუფით.
- ბ. +ორ მუშაკს, რომელთაგან ერთი არის ოპერატიული ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალის შემადგენლობიდან IV დაშვების ჯგუფით, ხოლო მეორე შეიძლება იყოს სარემონტო შემადგენლობიდან – III ჯგუფით.
- ც. ორ მუშაკს ოპერატიულ-სარემონტო და სარემონტო პერსონალიდან, ელექტროუსაფრთხოების არანაკლებ III დაშვების ჯგუფით.

201. შესაკეთებლად გამორთულ 1000 ვ-მდე ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემ ხაზებზე დამიწების დაყენების უფლება აქვს ... ? (მუხლი 28 პ 10)

- ა. ორ მუშაკს რომელთაგან ერთი არის ოპერატიულ-სარემონტო პერსონალის შემადგენლობიდან III ჯგუფით, ხოლო მეორე სარემონტო პერსონალიდან, ელექტროუსაფრთხოების არანაკლებ II ჯგუფით.
- ბ. ერთ მუშაკს ოპერატიული ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალიდან, ელექტროუსაფრთხოების არანაკლებ IV დაშვების ჯგუფით.
- ც. +ორ მუშაკს, ოპერატიული ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალის შემადგენლობიდან ელექტროუსაფრთხოების არანაკლებ – III ჯგუფით.
- დ. ერთ მუშაკს სარემონტო შემადგენლობიდან არანაკლებ IV დაშვების ჯგუფით.

202. სეგხ-ზე ძაბვის არარსებობის შემოწმებისას, დამიწების დაყენებისა და მოხსნის დროს ერთი მუშაკი იმყოფება საყრდენზე, სად უნდა იმყოფებოდეს ამ დროს მეორე მუშაკი? (მუხლი 28 პ 11)

- ა. უნდა იმყოფებოდეს იმავე საყრდენ ბოძზე და ეხმარებოდეს მეორეს.

- ბ. +უნდა იმყოფებოდეს მიწაზე და უწევდეს მეთვალყურეობას მეორეს.
- ც. უნდა იმყოფებოდეს უახლოეს საყრდენ ბოძზე და უწევდეს მეთვალყურეობას.

მუხლი 29. სამუშაო ადგილების შემოღობვა და დამიწების დაყენება

203. რომელი პლაკატი უნდა გამოიკიდოს ძაბვის ქვეშ დარჩენილ დენგამტარი ნაწილების დროებით ღობურებზე? (მუხლი 29 კ 2) ა. +სდექ! ძაბვაა.

- ბ. არ ახვიდე მოგკლავს!
- ც. არ ჩართოთ! მუშაობს ხალხი.
- დ. არ ჩართოთ! მუშაობაა ხაზზე.

204. რომელი პლაკატი უნდა გამოიკიდოს კარებსა და პანელებზე, სამუშაო ადგილის მოსაზღვრე სათავსოების ღობურებზე? (მუხლი 29 კ 4) ა. „არ ჩართოთ! მუშაობს ხალხი!”

- ბ. + „სდექ! ძაბვაა!”
- ც. „არ ახვიდე! მოგკლავს!”
- დ. არ ჩართოთ! მუშაობს ხალხი.

205. რა შინაარსის პლაკატი უნდა გამოიკიდოს, კონსტრუქციებსა და სტაციონალურ კიბეებზე, რომლებზეც ნებადართულია ასვლა სამუშაოების შესასრულებლად? (მუხლი 29 კ 6) ა. +„ადით აქ”.

- ბ. „იმუშავეთ აქ”.
- ც. არ ახვიდე! სასიკვდილოა!
- დ. „ძაბვის ქვეშაა! სასიკვდილოა“

206. რომელი პლაკატი უნდა გამოიკიდოს ზემოთ ასასვლელად ნებადართული კონსტრუქციის მოსაზღვრე კონსტრუქციაზე? (მუხლი 29 კ 6) ა. სდექ ძაბვაა.

- ბ. +„არ ახვიდე. სასიკვდილოა!”
- ც. „იმუშავეთ აქ”.
- დ. „ადით აქ”.

207. ჩამოთვლილთაგან რომელ ელექტროდანადგარებზე მუშაობისას უნდა გამოიკიდოს პლაკატი „იმუშავეთ აქ”? (მუხლი 29 კ 7)

- ა. საკაბელო ხაზებზე.
- ბ. +მომზადებულ სამუშაო ადგილზე გარდა საჰაერო და საკაბელო ხაზებისა.
- ც. საჰაერო ხაზებზე.
- დ. წესებით არაა განსაზღვრული.

208. შეიძლება, თუ არა მომზადებულ სამუშაო ადგილზე მოიხსნას ან გადაადგილდეს პლაკატები და ღობურები სამუშაოს მთლიანად დამთავრებამდე? (მუხლი 29 კ 8) ა. ნებადართულია.

- ბ. +აკრძალულია, გარდა განწესის „ცალკეული მითითებები“-ის გრაფაში ჩაწერილი შემთხვევებისა.
- ც. მხოლოდ ზემდგომი ოპერატიული პირის ნებართვით,
- დ. დასაშვებია, გამონაკლის შემთხვევებში.

მუხლი 30. უსაფრთხოების ზომები ცალკეული სამუშაოების შესრულებისას

სამუშაოები დგმ-ში და სეგხ-ზე ელექტრული ველის გავლენის ზონაში

- 209. მიუთითეთ ელექტრული ველის დამაბულობის სიდიდე, რომლის დროსაც მუშაობის დრო არაა შეზღუდული. (მუხლი 30 პ 1).
- ა. 20 კვ/მ.
- ბ. 25 კვ/მ.
- ც. +5 კვ/მ.
- დ. 0,5 კვ/მ.

თავი III

ელექტროენერგეტიკული დანადგარები და მოწყობილობები მუხლი 37. ანძური სატრანსფორმატორო ქვესადგურები და კომპლექტური სატრანსფორმატორო ქვესადგურები

- 210. როგორ უნდა განხორციელდეს სამუშაოზე დაშვება ჯიხური ტიპის ანძურ სატრანსფორმატორო და კომპლექტურ სატრანსფორმატორო ქვესადგურებში? (მ 37 პ2)
- ა. +დაშვება უნდა განხორციელდეს ძაბვის მოხსნით, პირველ რიგში უნდა გამოირთოს 1000 ვოლტამდე ძაბვის საკომუტაციო აპარატურები, ხოლო ამის შემდეგ მაღალი ძაბვის სახაზო გამთიშველები.
- ბ. დაშვება უნდა განხორციელდეს ძაბვის მოხსნის გარეშე.
- ც. დაშვება უნდა განხორციელდეს მხოლოდ IV ჯგუფის მქონე დამშვების მიერ. ძაბვის მოხსნა სავალდებულო არ არის.

მუხლი 41. დენის ტრანსფორმატორები

- 211. დასაშვებია, თუ არა დენის ტრანსფორმატორის მეორად გრაგნილზე ჩართული წრედის გაწყვეტა? (მუხლი 41 პ 1)
- ა. დასაშვებია, როდესაც სამუშაოებს ახორციელებს V დაშვების საკვალიფიკაციო ჯგუფის მქონე სარემონტო პერსონალი. ბ. +აკრძალულია.
- ც. დასაშვებია მთავარი ინჟინრის ნებართვით.
- დ. დასაშვებია ოსტატის ნებართვით.

212. დენის ტრანსფორმატორის მეორად გრაგნილზე ჩართული ელექტრული წრედის წყვეტის აუცილებლობის შემთხვევაში, სად უნდა დაყენდეს ზღუდარი? (მუხლი 41 პ 1)

- ა. +დენის ტრანსფორმატორის მხრიდან გაწყვეტის სავარაუდო ადგილამდე.
- ბ. ტრანსფორმატორიდან გასაწყვეტი ადგილის შემდეგ.
- ც. ნებისმიერ მოსახერხებელ ადგილას.

213. რა უსაფრთხოების ზომების მიღებაა საჭირო დენის ტრანსფორმატორის ან მის მეორად გრაგნილთან მიერთებულ წრედებზე მუშაობისას (მუხლი 41 პ 1,2,3,4)

- ა. +დაყენდეს „ზღუდარი“ ტრანსფორმატორის მეორად გრაგნილებზე და გამოყენებული იქნას იზოლირებულ სახელურიანი ინსტრუმენტი.
- ბ. გამოყენებული იქნას დენგამტარად მეორადი გრაგნილების წვერები.
- ც. გამოყენებული იქნას დიელექტრიკული ხალიჩა.
- დ. გამოყენებული იქნას დიელექტრიკული ბოტები.

თავი IV

საკაბელო ხაზები

მუხლი 44. მიწის სამუშაოები

214. შემოღობილ ადგილზე მიწის სამუშაოების წარმოებისას, მოქმედი წესებით, მოითხოვება თუ არა ღობურებზე გამაფრთხილებელი პლაკატების გამოკიდება (ღამის საათებში - სასიგნალო განათება)?

(მუხლი 44 პ 6)

- ა. +მოითხოვება.
- ბ. არ მოითხოვება.
- ც. მოითხოვება მხოლოდ განწესის გამცემის თანხმობით.
- დ. მოითხოვება მხოლოდ სამუშაოს მწარმოებლის თანხმობით.

მუხლი 45. კაბელებისა და ქუროების დაკიდება და დამაგრება გახსნა

215. დასაშვებია თუ არა კაბელების დაკიდება მილგაყვანილობაზე ან მეზობელ კაბელებზე? (მუხლი

45 პ 2)

- ა. +არა.
- ბ. დასაშვებია.
- ც. დასაშვებია მხოლოდ ზემდგომი პირის ნებართვით.
- დ. დასაშვებია მხოლოდ განწესის გამცემის ნებართვით.

თავი 46. კაბელების გაჭრა, ქუროების გახსნა

216. კაბელის ხილული დაზიანების არარსებობისას ყველა შემთხვევაში გამოყენებული უნდა იყოს: (მუხლი 46 პ 3)

- ა. + კაბელსამებნი აპარატი.
- ბ. იზოლირებულ სახელურიანი საჭრელი ხელსაწყო.
- ც. სპეციალური სახვრეტბულიკიანი ხელსაწყო.
- დ. იზოლირებულ სახელურიანი სახრახნისი.

217. აუცილებელია თუ არა ძაბვის არარსებობის შემოწმება კაბელის ან შემაერთებული ქუროს გახსნის წინ? (მუხლი 46 პ 4)

- ა. +აუცილებელია შემოწმდეს სპეციალური სამარჯვების საშუალებით.
- ბ. არ არის აუცილებელი, რადგან საკაბელო ხაზი დამიწებულია.
- ც. აუცილებელია მხოლოდ სამუშაოს მწარმოებლის განკარგულებით.

მუხლი 48. კაბელის გაყვანა და გადაწყობა, ქუროების გადატანა

218. მიუთითეთ მოქმედი წესების მოთხოვნები, რომელთა დაცვაც საჭიროა კაბელიანი დოლურის გადაგორებისას. (მუხლი 48 პ 1)

- ა. +მიღებულ იქნას ზომები, რომ არ მოხდეს გამოშვებული ნაწილების მიერ მუშების ტანსაცმელზე გამოდება. დოლურის გადაგორება უნდა მოხდეს მყარი გრუნტის ან მაგარი საფენის ჰორიზონტალურ ზედაპირზე.
- ბ. ტრასის მოსახვევებში კაბელის ხელში დაჭერით.
- ც. დოლურის გადაგორებისას დამატებითი უსაფრთხოების ზომების გატარება არ არის სავალდებულო.

219. კაბელების ჩადებისას დასაშვებია, თუ არა ტრასის მოსახვევებში კაბელების ხელში დაჭერა? (მუხლი 48 პ 3)

- ა. დასაშვებია.
- ბ. +დაუშვებელია.
- ც. დასაშვებია, ზემდგომი პირის მეთვალყურეობით.
- დ. წესებით არ არის განსაზღვრული.

თავი V. საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზები მუხლი

50. მუშაობა ანძებზე

220. აუცილებელია, თუ არა სადენებისა და საყრდენების დემონტაჟის, აგრეთვე საყრდენების ელემენტების გამოცვლითი სამუშაოების წარმოებას ესწრებოდეს სამუშაოთა ხელმძღვანელი? (მუხლი

50 პ 1)

- ა. +აუცილებელია.
- ბ. არ არის აუცილებელი.
- ც. აუცილებელია მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში.

დ. წესებით არ არის განსაზღვრული.

221. საყრდენებზე მუშაობისას რა სიმაღლეზე შეუძლია იმუშაოს II ჯგუფის მქონე ბრიგადის წევრმა?

(მუხლი 50 პ 7)

ა. +გამოურთავ სეგხ-ზე - როდესაც მომუშავეს თავიდან ხაზის ქვედა სადენამდე მანძილი 2 მეტრია.

- ბ. გამოურთავ სეგხ-ზე - როდესაც მომუშავის თავიდან ხაზის ქვედა სადენამდე მანძილი 1 მეტრია.
- ც. გამოურთავ სეგხ-ზე - როდესაც მომუშავის თავიდან ხაზის ქვედა სადენამდე მანძილი 0,7 მეტრია.
- დ. გამოურთავ სეგხ-ზე - როდესაც მომუშავის თავიდან ხაზის ქვედა სადენამდე მანძილი 1,7 მეტრია.

222. საყრდენებზე მუშაობისას რა სიმაღლეზე შეუძლია იმუშაოს II ჯგუფის მქონე ბრიგადის წევრმა?

(მუხლი 50 პ 7)

- ა. + გამორთულ სეგხ-ზე - საყრდენის წვერამდე.
- ბ. გამოურთავ სეგხ-ზე - როდესაც მომუშავის თავიდან ხაზის ქვედა სადენამდე მანძილი 1 მეტრია.
- ც. გამოურთავ სეგხ-ზე - როდესაც მომუშავის თავიდან ხაზის ქვედა სადენამდე მანძილი 1,5 მეტრია.
- დ. გამოურთავ სეგხ-ზე - როდესაც მომუშავის თავიდან ხაზის ქვედა სადენამდე მანძილი 0,6 მეტრია.

223. უსაფრთხოების რომელი ჯგუფის მქონე ბრიგადის წევრებს ეძლევათ ნებართვა საყრდენის წვერამდე შესასრულებელ ყველა სახის სამუშაოზე? (მუხლი 50 პ 7) ა. IV ჯგუფის.

- ბ. II ჯგუფის.
- ც. +III ჯგუფის.
- დ. IV ჯგუფის.

224. უსაფრთხოების რომელი მინიმალური ჯგუფის მქონე ბრიგადის წევრს აქვს საყრდენების წვერამდე შეღებვის უფლება? (მუხლი 50 პ 8) ა. I ჯგუფის.

- ბ. +II ჯგუფის.
- ც. III ჯგუფის.
- დ. IV ჯგუფის.

225. რა იკრძალება საყრდენებზე ასვლისას და მუშაობისას? (მუხლი 50 პ 9)

- ა. +კუთხურ მანქვალთან იზოლატორის მქონე საყრდენზე შიგა კუთხიდან ასვლა.
- ბ. ხის საყრდენზე ასვლისას დამცავი ქამრის ჩასაბმელი შემოვატაროთ დგარს.
- ც. მალლივი დათვალიერების ჩატარება.
- დ. დამცავი ჩაჩქანის გამოყენება.

226. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოთხოვნები უნდა შესრულდეს II-და AII ტიპის საყრდენების ორმაგი მისაბჯენის შეცვლისას? (მუხლი 50 პ 11) ა. + უნდა შეიცვალოს რიგრიგობით.

- ბ. ერთდროულად ამოითხაროს საყრდენის ორივე სადგამი.

ც წესებით არ არის განსაზღვრული.

227. ვინ განსაზღვრავს საყრდენის წაქცევისა და დაყენების წესს? (მუხლი 50 პ 13) ა. +სამუშაოს ხელმძღვანელი, ხოლო თუ არაა დანიშნული, განწესის გამცემი.

ბ. დამშვეები.

ც. სამუშაოს მწარმოებელი.

დ. ელექტროუსაფრთხოების IV ჯგუფის მქონე ბრიგადის წევრი.

228. დამჭიმავ მაიზოლირებულ საკიდზე მუშაობისას დასაშვებია თუ არა, დამცავი ქამრის ჯამბარა დამაგრდეს ტრავერსზე ან ამ მიზნისათვის განკუთვნილ სამარჯვზე? (მუხლი 50 პ 17) ა. + დასაშვებია.

ბ. დაუშვებელია.

ც. დასაშვებია მხოლოდ განწესის გამცემი პირის ნებართვით.

დ. დასაშვებია მხოლოდ სამუშაოს მწარმოებლის ნებართვით.

229. იზოლატორების რომელ გირლიანდებზე უნდა დამაგრდეს დამცავი ქამრის ჯამბარა, დამჭერ და დამჭიმ მრავალჯაჭვიან იზოლირებულ საკიდებზე მუშაობისას? (მუხლი 50 პ 18) ა. +გირილიანდებზე, რომლებზეც არ წარმოებს სამუშაოები.

ბ. გირილიანდებზე, რომლებზეც წარმოებს სამუშაოები.

ც. დამაგრებისათვის ხელსაყრელ გირლიანდაზე.

დ. უახლოეს გირლიანდაზე.

230. მოქმედი წესებით მოითხოვება თუ არა სამუშაოთა შეწყვეტა, ისეთი გაუმართაობის აღმოჩენისას, რასაც შეიძლება მოყვეს მაიზოლირებელი საკიდარის გახსნა? (მ 50 პ 19) ა. + მოითხოვება.

ბ. არ მოითხოვება.

ც. განსაზღვრავს სამუშაოთა ხელმძღვანელი.

დ. განსაზღვრავს განწესის გამცემი.

231. ტრავერსაზე სადენების, გვარლების აწევის ან დაშვების და მათი მოჭიმვის დროს, ვის აქვს უფლება იდგეს ტრავერსებზე ან მათ ქვეშ სადგარზე? (მუხლი 50 პ 20)

ა. + ასეთ შემთხვევაში აკრძალულია ტრავერსებზე ან მათ ქვეშ დგომა.

ბ. სამუშაოთა ხელმძღვანელს.

ც. დამშვეებს.

დ. სამუშაოთა მწარმოებელს.

მუხლი 53. მუშაობა მოქმედ სეგბ-თან გადაკვეთის მალეში, სეგბ-ზე მოდების ძაბვის ქვეშ მრავალჯაჭვიან სეგბ-ის ერთ გამორთულ ჯაჭვზე ფაზური შეკეთება

.

.

232. წესების რომელი მოთხოვნები უნდა შესრულდეს ტელესკოპური კომპურიდან გამტარების მონტაჟისა და შეცვლის დროს? (მუხლი 53 პ 5)

ა. კომპურის სამუშაო ბაქანი მოქნილი გამტარით უნდა შეერთდეს ხაზის სადენთან. კომპურა უნდა დამიწდეს. ხაზის სადენი უნდა დამიწდეს უახლოეს საყრდენზე ან უახლოეს მალში. ბ. უსასრულო ბაგირად გამოყენებულ იქნას ლითონის ბაგირი. ც. გამტარი უნდა დამიწდეს უახლოეს საყრდენზე კომპურის დამიწება სავალდებულო არ არის. დ. გამტარი უნდა დამიწდეს

233. საჰაერო ხაზზე ძაბვის ქვეშ მყოფი სხვა საჰაერო ხაზის გადაკვეთის მალში სადენების დაკიდების ან შეცვლისას უნდა დამიწდეს ... (მუხლი 53 პ 8)

- ა. + როგორც შესაცვლელი, ასევე ჩამოსაკიდი გამტარი (სადენი), ორივე მხრიდან.
- ბ. მხოლოდ შესაცვლელი გამტარი (სადენი),.
- ც. მხოლოდ სამუშაო ადგილი.
- დ. როგორც ხაზის საწყისი, ასევე საბოლოო საყრდენი.

მუხლი 54. მუშაობა ინდუცირებული ძაბვის ქვეშ მყოფ სეგზ-ზე, მრავალჯაჭვა სეგზ-ის ერთ გამორთულ ჯაჭვზე

234. საჭიროა თუ არა საჰაერო ხაზის მომსახურე პერსონალი გაეცნოს იმ ხაზების ჩამონათვალს, რომლებიც გამორთვის შემდეგ რჩება გამოწვეული ძაბვის ქვეშ? (მუხლი 54 პ 1)

- ა. +საჭიროა, ინდუცირებული ძაბვის არსებობის შესახებ ჩანაწერი უნდა გაკეთდეს განწესის სტრიქონში "ცალკეული მითითებები". ბ. არ არის საჭირო
- ც. საჭიროებას განსაზღვრავს განწესის გამცემი.
- დ. საჭიროებას განსაზღვრავს სამუშაოს მწარმოებელი.

235. წესებით რა შემთხვევაშია დასაშვები მუშაობა მრავალჯაჭვიანი საჰაერო ხაზის გამორთულ ჯაჭვზე, როდესაც ჯაჭვები განლაგებულია ერთიმეორის ზემოთ? (მუხლი 54 პ 13) ა. +თუ გამორთული ჯაჭვი იმყოფება ძაბვის ქვეშ მყოფი ჯაჭვების ქვემოთ.

- ბ. თუ სამუშაოები დაკავშირებულია გამორთული ჯაჭვის სადენების შეცვლასა და რეგულირებასთან.
- ც. დასაშვებია ნებისმიერ შემთხვევაში.
- დ. დასაშვებია, თუ ეს ჯაჭვი კიდია ძაბვის ქვეშ მყოფი ჯაჭვების ზემოთ.

236. მოქმედი წესების თანახმად სად უნდა დაედოს დამიწება, მრავალჯაჭვიანი ხაზის გამორთული ჯაჭვის სადენებზე, ანმაზე მუშაობის დროს, როდესაც ყველა დანარჩენი ჯაჭვები რჩება ძაბვის ქვეშ?

(მუხლი 54 პ 16)

- ა. +ყველა საყრდენზე, რომლებზედაც წარმოებს მუშაობა.
- ბ. საჰაერო ხაზის საწყის და საბოლოო საყრდენებზე.
- ც. მხოლოდ ქვესაგურის ტერიტორიაზე არსებულ საყრდენზე.
- დ. მხოლოდ საბოლოო საყრდენზე.

მუხლი 56. ტრასის გაწმენდა ხეებისაგან

237. რომელი დოკუმენტი უნდა გაფორმდეს საჰაერო ხაზების ტრასის ხეებისაგან გაწმენდისას? (მ 56 კ2)

ა. + განწესი. ბ განკარგულება. ც ტრასის ხეებისაგან გაწმენდა შესაძლებელია მიმდინარე ექსპლუატაციის პირობებში.

დ. სამუშაოდავალება.

238. ვალდებულია, თუ არა სამუშაოს მწარმოებელი, ტრასის ხეებისაგან გაწმენდისას გააფრთხილოს ბრიგადის ყველა წევრი, ხაზზე დაცემულ ხეებთან მიახლოების საშიშროებაზე? (მუხლი 56 პ 4)

- ა. + ვალდებულია.
- ბ. არ არის ვალდებული.
- ც. ვალდებულია მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში.
- დ. წესებით არ არის განსაზღვრული.

239. რა ზომები უნდა იქნეს მიღებული ხეების ჭრისას სადენებზე ხეების დაცემის თავიდან ასაცილებლად? (მუხლი 56 პ 5)

- ა. + გამოყენებული უნდა იყოს საჭიმარები.
- ბ. დამატებითი უსაფრთხოების ზომების მიღება საჭირო არ არის.
- ც. გამოყენებული უნდა იყოს დიელექტრიკული ხელთათმანები.
- დ. გამოყენებული უნდა იყოს სამაშველო კავი.

240. რა დასაშვებ მანძილზე ახლოს არის აკრძალული სადენებზე ხის დაცემის შემთხვევაში ხესთან მიახლოება? (მუხლი 56 პ 6) ა. 4 მ.

- ბ. 6 მ.
- ც. +8 მ.
- დ. 3 მ.

241. მოსაჭრელი ხის მოსალოდნელი წაქცევისას მხერხავებმა უნდა გააფრთხილონ ბრიგადის წევრები. რა ეკრძალებათ ბრიგადის წევრებს ამ შემთხვევაში? (მ 56 პ 7)

- ა. +იდგნენ ხის წაქცევის მხარეს ან წაქცევის საპირისპირო მხარეს.
- ბ. იდგნენ ხის წაქცევის გვერდით მხარეს.
- ც. წესებით არ არის განსაზღვრული

მუხლი 57. შემოვლები და დათვალიერებები

242. რა სამუშაოების შესრულებაა აკრძალული საჰაერო ხაზის დათვალიერებისას? (მუხლი 57 პ 1)

- ა. +სარემონტო და აღდგენითი სამუშაოები. საყრდენებზე და მათ კონსტრუქციებზე ასვლა.
- ბ. მალლივი დათვალიერებისას საყრდენებზე ასვლა.
- ც. მწელადსავალ ადგილებში საჰაერო ხაზის დათვალიერება II ჯგუფის მქონე ორი მუშაკის მიერ.
- დ. დათვალიერების განახორციელება II ჯგუფის მქონე ერთი პირის მიერ.

243. მოქმედი წესებით რა შემთხვევაში მოითხოვება საჰაერო ხაზის დათვალიერება II ჯგუფის მქონე ორი მუშაკის მიერ? (მუხლი 57 პ 2) ა + ძნელადსავალ ადგილებში. დღე-ღამის ბნელ დროს. ცუდ კლიმატურ პირობებში. ბ ყველა შემთხვევაში საჭიროა ორი მუშაკი.
- ც მაღლივიდათვალიერებისას.
- დ. წესებით არ არის განსაზღვრული.
244. საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის დათვალიერება შეუძლია მინიმუმ ... ჯგუფის მქონე ერთ მომუშავეს? (მუხლი 57 პ 2) ა. +II.
- ბ. III.
- ც. IV.
- დ. V.
245. წესებით აკრძალულია 1000 ვოლტს ზემოთ საჰაერო ხაზზე, მიწაზე დაგდებულ გამტართან მიახლოება ... მეტრზე ახლო მანძილზე. (მუხლი 57 პ 3)
- ა. 2.
- ბ. 4.
- ც. 6.
- დ. +8.

მუხლი 58. მუშაობა სეგზ-ის გზებთან გადაკვეთისა და მიახლოების ადგილებში

246. ვინ უნდა უზრუნველყოს ტრანსპორტის დროებით შეჩერება, სატრანსპორტო მაგისტრალის გადამკვეთ საჰაერო ხაზზე მუშაობისას? (მუხლი 58 პ 1) ა. +მოძრაობის სამსახურის წარმომადგენელმა.
- ბ. სამუშაოს მწარმოებელმა.
- ც. სამუშაოს ხელმძღვანელმა.
- დ. განწესის გამცემმა.
424. რა უნდა გააკეთოს სატრანსპორტო მაგისტრალის მოძრაობის სამსახურის წარმომადგენელმა, საჰაერო ხაზის მიერ სატრანსპორტო მაგისტრალის გადაკვეთის ადგილებში მუშაობისას? (მუხლი 58 პ 1)
- ა. +საჭირო დროით შეაჩეროს ტრანსპორტის მოძრაობა.
- ბ. უსაფრთხო სიმაღლეზე ასწიოს მოძრაობის ხელშემშლელი გამტარები, ტრანსპორტის გასატარებლად.
- ც. დააყენოს გზაზე მესიგნალები.
- დ. გამოკიდოს გამაფრთხილებელი პლაკატები.

425. საჰაერო ხაზის მიერ გზატკეცილების ან შარავზის გადაკვეთის ადგილებში მუშაობისას მოქმედი წესებით მოითხოვება მესიგნალების დაყენება გადაკვეთის ორივე მხარეს გადაკვეთის ადგილიდან არანაკლებ მ მანძილზე. (მუხლი 58 პ .2) ა. 25 მ.

- ბ. 50 მ.
- ც. 75 მ.
- დ. +100 მ.

247. ვინ უნდა განალაგოს მესიგნალები გზატკეცილების გადამკვეთ საჰაერო ხაზზე მუშაობისას? (მუხლი 58 პ 2)

- ა. +სამუშაოს მწარმოებელმა.
- ბ. საგზაო სამსახურის წარმომადგენელმა.
- ა. სატრანსპორტო მაგისტრალის მოძრაობის სამსახურის წარმომადგენელმა.
- ც. სამუშაოს ხელმძღვანელმა.

მუხლი 6.2 მუშაობა ელექტრომზომი მარწუხებითა და საზომი შტანგებით

248. მინიმუმ რამდენმა მუშაკმა შეიძლება შეასრულოს სამუშაოები ელექტროგამზომი მარწუხებით განკარგულებით 1000 ვ ზემოთ ელექტროდანადგარებში? (მუხლი 62 პ 1) ა. +2-მა მუშაკმა.

- ბ. 3-მა მუშაკმა.
- ც. 4-მა მუშაკმა.
- დ. 5-მა მუშაკმა.

249. ელექტროუსაფრთხოების რომელი ჯგუფი უნდა ჰქონდეს მუშაკებს, 1000 ვ ზემოთ ელექტროდანადგარებში განკარგულებით ელექტროგამზომი მარწუხებით მუშაობისას? (მუხლი 62 პ 1) ა. + ერთს IV ჯგუფი მეორეს III ჯგუფი.

- ბ. ორივეს III ჯგუფი.
- ა. ერთს III ჯგუფი მეორეს II ჯგუფი.
- ც. ერთს IV ჯგუფი მეორეს II ჯგუფი.

250. ნებადართულია, ელექტროგამზომი ხელსაწყოებით 1000 ვ-მდე დანადგარებში იმუშაოს ერთმა მუშაკმა ელექტროუსაფრთხოების არანაკლებ..... (მუხლი 62 პ 2) ა. +III ჯგუფით.

- ბ. IV ჯგუფით.
- ც. V ჯგუფით.
- დ. II ჯგუფით.

251. მიუთითეთ, როდის არაა საჭირო დიელექტრიკული ხელთათმანების გამოყენება? (მუხლი 62 პ 3)

- ა. + გამზომი შტანგით მუშაობისას.
- ბ. 1000 ვ ზემოთ დანადგარებში ელექტროგამზომი მარწუხებით მუშაობისას.

- ც. საჭაერო ხაზის გამთიშველის ჩართვა-გამორთვისას.
- დ. 1000 ვ ზემოთ სეგხ-ზე ძაბვის არარსებობის შემოწმებისას.

252. რამდენ მუშაკს შეუძლია შეასრულოს სამუშაოები გამზომი შტანგებით? არანაკლებ. . . (მუხლი 62 კ 3)

- ა. +2 მუშაკს.

- ბ. 3 მუშაკს.
- ც. 4 მუშაკს.
- დ. 5 მუშაკს.

253. ელექტროუსაფრთხოების რომელი ჯგუფი უნდა ჰქონდეს გამზომი შტანგით მომუშავე მუშაკებს? (მუხლი 62 პ 3)

- ა. ერთს უნდა ჰქონდეს IV, დანარჩენებს III.
- ბ. ორივეს III.
- ც. ერთს III, დანარჩენებს II.
- დ. ორივეს II.

მუხლი 64. სამუშაოები მეგაომეტრით

254. რომელი დაცვის საშუალებების გამოყენებაა აუცილებელი მეგაომეტრის შემაერთებელი გამტარების 1000 ვოლტს ზემოთ ელექტროდანადგარების დენგამტარ ნაწილებთან მისაერთებლად?

(მუხლი 64 პ 3)

- ა. მაიზოლირებელი შტანგა, დიელექტრიკული ხელთათმანები.
- ბ. დამცავი სათვალე.
- ც. მაიზოლირებელი ხალიჩა.
- დ. იზოლირებულსახელურიანი ინსტრუმენტები.

255. უსაფრთხოების რა ზომების მიღებაა საჭირო მეგაომეტრით იზოლაციის წინაღობის გაზომვისას? (მუხლი 64 პ 4)

- ა. უნდა მოხდეს იმ დენგამტარი ნაწილების ზღუდარით გადაერთება, რომლებიც მიერთებულია მეგაომეტრის მომჭერებზე.
- ბ. აარ შეიძლება იმ დენგამტარ ნაწილებთან შეხება, რომელზეც მიერთებულია მეგაომეტრი.
- ც. უნდა დამიწდეს ის დენგამტარი ნაწილები რომლებიც მიერთებულია მეგაომეტრის მომჭერებზე.
- დ. უნდა გამოიკიდოს პლაკატები: „სდექ! ძაბვა“, „არ ჩართოთ, მუშაობს ხალხი“.

256. მოქმედი წესებით ნებადართულია იზოლაციის წინაღობის გაზომვა მეგაომეტრით შეასრულოს ერთმა მუშაკმა, ელექტროუსაფრთხოების არანაკლებ. . . ჯგუფით. (მუხლი 64 პ 4)

- ა. II.
- ბ. +III.
- ც. IV.
- დ. V.

მუხლი 77. სამუშაოები ელექტროდანადგარებში ავტომობილების, ტვირთამწე მანქანების, მექანიზმებისა და კიბეების გამოყენებით

257. მოქმედ ელექტროდანადგარებში ტვირთამწე მანქანების და მექანიზმების გამოყენებით მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს... (მუხლი 77 პ 2) ა. + განწესით.
 ბ. განკარგულებით.
 ც. მიმდინარე ექსპლუატაციის პირობებში.
 დ. წესებით არ არის განსაზღვრული
258. ვისი მეთვალყურეობით უნდა წარმოებდეს ღგმ-ში და სეგხ-ის დაცვის ზონაში ავტომობილის, ტვირთამწე მანქანებისა და მექანიზმების მოძრაობა, მათი დაყენება და მუშაობა? (მუხლი 77 პ 4)
 ა. + ოპერატიული ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალის, განწესის გამცემის, სამუშაოს ხელმძღვანელის მეთვალყურეობით .
 ბ. III ჯგუფის მქონე პირის მეთვალყურეობით.
 ც. V ჯგუფის მქონე სარემონტო პერსონალის მეთვალყურეობით.
 დ. წესებით არ არის განსაზღვრული.
259. დასაშვებია, თუ არა ისრიანი ტვირთამწე მექანიზმების დაყენება და მუშაობა ძაბვის ქვეშ მყოფი 35 კვ-მდე სეგხ-ის სადენების ქვეშ? (მუხლი 77 პ 7) ა. დასაშვებია ცალკეულ შემთხვევაში.
 ბ. +აკრძალულია.
 ც. დასაშვებია მხოლოდ ზემდგომის ნებართვით.
 დ. დასაშვებია სამუშაოს ხელმძღვანელის ნებართვით.
260. კუთხურ საყრდენებზე იზოლატორების, სადენების შეცვლასთან ან არმატურის შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოს ჩატარებისას აკრძალულია: (მუხლი 77 პ 10) ა. მუშაობა კუთხური გამტარის გარე კუთხიდან.
 ბ. +ტელესკოპური კოშკურის დაყენება სადენების მიერ წარმოქმნილი კუთხის შიგნით.
 ც. წესებით არ არის განსაზღვრული.
261. მოქმედი წესებით, როდის არ მოითხოვება ტვირთამწე მანქანებისა და მექანიზმების დამიწება? (მუხლი 77 პ 11)
 ა. თუ პნევმოთვლებიანი ტვირთამწე მანქანები და მექანიზმები დაყენებულია ბეტონის საფუძველზე.
 ბ. +თუ მუხლუხათვლებიანი ტვირთამწე მანქანები და მექანიზმები დაყენებულია უშუალოდ გრუნტზე.
 ც. თუ პნევმოთვლებიანი ტვირთამწე მანქანები და მექანიზმები დაყენებულია სველ გრუნტზე (ჭაობი, ტბა და სხვა).

მუხლი 78. ხარაჩოებზე, ფიცარნაგებზე, კონსტრუქციებზე და მოწყობილობებზე ასვლასთან დაკავშირებული სამუშაოები

262. ისეთი სამუშაოების შესრულებისას, როდესაც არ არის შესაძლებელი დამცავი ქაშის ჯამბარა დამაგრდეს კონსტრუქციასა და საყრდენებზე, გამოყენებული უნდა იქნას: (მუხლი 78 პ 1) ა.
კიბე.
- ბ. + დამზღვევი ბაგირი, რომელიც წინასწარ იქნება დამაგრებული კონსტრუქციაზე, საყრდენის დეტალზე და ა.შ.
- ც. წესებით არ არის განსაზღვრული.
263. ხარაჩოების, ფიცარნაგების, საკიდელის ნაფენები უნდა შემოიღობოს თუ მათი სიმაღლე გრუნტის ზედაპირიდან ან გადახურვებიდან აღემატება: (მუხლი 78 პ 3) ა. 0,8 მეტრს.
- ბ. + 1,3 მეტრს.
- ც. 0,5 მეტრს.
- დ. 0,7 მეტრს.
264. რა ზომები უნდა იქნეს მიღებული ძაბვის ქვეშ მყოფი დენგამტარი ნაწილების ზემოთ კონსტრუქციებზე მუშაობისას სამარჯვების და ინსტრუმენტების ვარდნის თავიდან ასაცილებლად?
(მუხლი 78 პ 4)
- ა. ინსტრუმენტები უნდა მოთავსდეს ჩანთაში.
- ბ. +ინსტრუმენტები მიბმული უნდა იქნას კონსტრუქციაზე.
- ც. წესებით არ არის განსაზღვრული.

მუხლი 80. საერთო მოთხოვნები სსო-ს პერსონალის სამუშაოდ დაშვება მოქმედი ელექტროდანადგარებისა და ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონაში

265. მოქმედი წესებით, მოითხოვება თუ არა, საექსპლუატაციო საწარმოში მისვლისას, სამშენებლო სამონტაჟო ორგანიზაციის პერსონალისათვის ინსტრუქტაჟის ჩატარება? (მუხლი 80 პ 4) ა.
+მოითხოვება.
- ბ. არ მოითხოვება.
- ც. წესებით არ არის განსაზღვრული.
- დ. სავალდებულოა მხოლოდ სამშენებლო სამონტაჟო ორგანიზაციის მოთხოვნით.
266. ვინ ახორციელებს სამშენებლო-სამონტაჟო პერსონალის პირველად დაშვებას სამუშაოებზე, რომლებიც მოითხოვს ელექტროდანადგარებში გამორთვების ჩატარებას და ძაბვის ქვეშ მყოფი ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონაში ყოფნას? (მუხლი 80 პ 6)
- ა. სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის პასუხისმგებელი შემსრულებელი პირი.
- ბ. +დამშვეები საექსპლუატაციო საწარმოს პერსონალიდან.
- ც. სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის პერსონალი IV ჯგუფით.
- დ. წესებით არ არის განსაზღვრული.

მუხლი 82. სამუშაოზე დაშვება გამანაწილებელ მოწყობილობის შემოუღობავ ან ნაწილობრივ შემოღობილი სამუშაო ზონაში

267. როგორ უნდა შესრულდეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის პერსონალის მიერ, მოქმედი ელექტროდანადგარებისა და ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონაში, თუ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციისათვის გამოყოფილი სამუშაო ზონა არაა შემოღობილი? (მუხლი 82 პ 2)

- ა. +სამუშაოებს ასრულებს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის პერსონალი, საექსპლუატაციო საწარმოს წარმომადგენლის მეთვალყურის ზედამხედველობით.
- ბ. სამუშაოებს ასრულებს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის პერსონალი, მივლინებული პერსონალის უფლებით, მეთვალყურე არ ინიშნება. ც. წესებით არ არის რეგლამენტირებული.
- დ. ამ შემთხვევაში სამუშაოების შესრულების უფლება აქვს მხოლოდ ენერგოკომპანიის უფლებამოსილ პერსონალს.

მუხლი 83. სამუშაოზე დაშვება ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონაში

268. სად უნდა დააყენოს დამშვევმა დამიწებები, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის პასუხისმგებელი შემსრულებლების (პერსონალის) საჭაერო ხაზზე სამუშაოდ დაშვებისას? (მუხლი 83 პ

2)

- ა. +თითო დამიწება ყოველი ბრიგადის სამუშაო ადგილზე.
- ბ. ერთი დამიწება ყველა ბრიგადისათვის.
- ც. ყოველი ბრიგადის სამუშაო ადგილზე ორი დამიწება.

ტენი

მ/ც პერსონალი (2019)

1) ენერგეტიკული დანადგარებისა და მათი ელემენტების მართვასა და მომსახურებაზე ახლადმიღებული და მუშაობაში 6 თვეზე მეტი წყვეტის მქონე პერსონალის დაშვება შესაძლებელია მხოლოდ (მ 4. პ 8) აირჩიე ერთი:

- a. მაღლივ სამუშაოების წარმოების ინსტრუქტაჟის გავლის შემდეგ
- b. საკონტროლო ავარიასაწინააღმდეგო და ხანძარსაწინააღმდეგო ვარჯიშის შემდეგ
- c. შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟისა და ცოდნის შემოწმების შემდეგ

The correct answer is: შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟისა და ცოდნის შემოწმების შემდეგ

2) რომელი ინსტრუქტაჟი უნდა ჩაუტარდეს მუშაკს, მუშაობაში 30 დღიდან 6 თვემდე წყვეტის შემთხვევაში? (მ 4. პ 9) აირჩიე ერთი:

- a. პირველადი
- b. მიზნობრივი
- c. რიგარეშე
- d. პერიოდული

The correct answer is: რიგარეშე

3) ტექნიკური ექსპლუატაციის, უსაფრთხოების ტექნიკის და სახანძრო უსაფრთხოების წესების, თანამდებობრივი და საწარმოო ინსტრუქციების ცოდნის შემოწმება ხდება: (მ 4. პ 12)

აირჩიე ერთი:

- a. პირველად - სამუშაოზე დამოუკიდებლად დაშვების წინ; პერიოდულად - დადგენილ ვადებში; რიგარეშე - წესების და ინსტრუქციების დარღვევის შემთხვევაში
- b. პირველად წლისდასაწყისში; პერიოდულად - 2 წელში ერთხელ; რიგარეშე - ყოველ 6 თვეში ერთხელ

c. პირველად - წლის ბოლოს; პერიოდულად - წელიწადში ერთხელ; რიგგარეშე - კვარტალში ერთხელ

d. პირველად - თვეში ერთხელ; პერიოდულად - წელიწადში ერთხელ; რიგგარეშე - კვარტალში ერთხელ

The correct answer is: პირველად - სამუშაოზე დამოუკიდებლად დაშვების წინ; პერიოდულად - დადგენილ ვადებში; რიგგარეშე - წესების და ინსტრუქციების დარღვევის შემთხვევაში

4) ტექნიკური ექსპლუატაციის, სახანძრო უსაფრთხოების წესების, საწარმოო და თანამდებობრივი ინსტრუქციების ცოდნის შემოწმება უნდა ხდებოდეს არანაკლებ (მ 4. პ 12)

აირჩიე ერთი:

a. ხუთ წელიწადში ერთხელ

b. ორ წელიწადში ერთხელ

c. სამ წელიწადში ერთხელ

The correct answer is: სამ წელიწადში ერთხელ

5) რა პერიოდულობით უნდა ხდებოდეს უსაფრთხოების ტექნიკის წესების შემოწმება იმ პერსონალისთვის ვისი საქმიანობაც დაკავშირებულია ელექტროდანადგარების ექსპლუატაციასა და მომსახურებასთან? (მ 4. პ 12) აირჩიე ერთი:

a. სამ წელიწადში ერთხელ

b. ორ წელიწადში ერთხელ

c. წელიწადში ერთხელ

The correct answer is: წელიწადში ერთხელ

6) ვინ უნდა განახორციელოს ენერგობიექტის ელექტროდანადგარების ტექნიკური მდგომარეობის მუდმივი კონტროლი? (მ 6. პ 5)

a. ლაბორატორიისპერსონალმა

b. სარემონტო პერსონალმა

c. ადმინისტრაციულ-ტექნიკურმა პერსონალმა

d. ოპერატიულმა და ოპერატიულ-სარემონტო პერსონალმა

The correct answer is: ოპერატიულმა და ოპერატიულ-სარემონტო პერსონალმა

7) ტექნიკური ექსპლუატაციის წესების თანახმად, რომელი ღონისძიებები უზრუნველყოფს ძალოვანი ტრანსფორმატორების ხანგრძლივ და საიმედო მუშაობას?

(მ.33; პ.1)

აირჩიე ერთი:

a. დაცული უნდა იყოს ტრანსფორმატორების დატვირთვების, დენებისა და ცალკეული ელემენტების ტემპერატურების სიდიდეები დადგენილი ნორმის ფარგლებში

b. დაცული უნდა იყოს ტრანსფორმატორების დატვირთვების, ძაბვებისა და ცალკეული ელემენტების ტემპერატურების სიდიდეები დადგენილი ნორმის ფარგლებში

c. გაციების, ძაბვის რეგულირების და სხვა ელემენტების გაუმართავ მდგომარეობაში შენარჩუნება

d. ხანძრის ქრობის სტაციონალური საშუალებების გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება

The correct answer is: დაცული უნდა იყოს ტრანსფორმატორების დატვირთვების, ძაბვებისა და ცალკეული ელემენტების ტემპერატურების სიდიდეები დადგენილი ნორმის ფარგლებში

8) ტექნიკური ექსპლუატაციის წესების თანახმად, რომელი ღონისძიებები უზრუნველყოფს ძალოვანი ტრანსფორმატორების ხანგრძლივ და საიმედო მუშაობას?

(მ.33; პ.1)

აირჩიე ერთი:

a. ხანძრის ქრობის სტაციონალური საშუალებების გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება

b. ზეთის მახასიათებლებისა და ტრანსფორმატორის იზოლაციის არანორმირებულ ზღვრებში შენარჩუნება

c. გაციების, დენის რეგულირების მოწყობილობების და სხვა ელემენტების გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება

d.

გაციების, ძაბვის რეგულირების მოწყობილობების და სხვა ელემენტების გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება

The correct answer is: გაციების, ძაბვის რეგულირების მოწყობილობების და სხვა ელემენტების გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება

9) ტექნიკური ექსპლუატაციის წესების თანახმად, რომელი ღონისძიებები უზრუნველყოფს ძალოვანი ტრანსფორმატორების ხანგრძლივ და საიმედო მუშაობას? (მ.33; პ.1)

აირჩიე ერთი:

